



ბათუმის უნივერსიტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №4, აპრილი, 2016



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ბსუ-ს რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსები და ფაბლაბი დაათვალიერა



ქართული ენა მაკონსტრუქციული ორბანოს გარეშე

14 აპრილს დედაენის დღეს აღვნიშნავთ ხოლმე. ეს ის დღეა, როცა ხალხი იხსენებს 1878 წლის საპროტესტო გამოსვლას ხელისუფლების გადაწყვეტილების წინააღმდეგ, საბჭოთა კონსტიტუციის 75-ე მუხლში შეეტანათ ცვლილება, რის საფუძველზეც ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა. ამ გადაწყვეტილებას საპროტესტო აქციების ტალღა მოჰყვა, აქციების ტალღას კი — გამარჯვება. ქართულმა ენამ სტატუსი შეინარჩუნა.

ენა ცოცხალი ორგანიზმია. იგი მუდმივად ვითარდება და იცვლება. ენის პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური ხდება, როდესაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური ცვრები მიმდინარეობს. ქვეყნის ცხოვრებაში სერიოზულ გარდატეხათა დროს სხვა გლობალური პროცესების პარალელურად იცვლება ენობრივი გარემოცვა.

ენა ვითარდება, იცვლება, მასთან ერთად იცვლება ნორმაც. იგი სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულია. ნორმა რომ არ იყოს, ლიტერატურული მეტყველების ნაკადი შეერეოდა ტერიტორიულ და სოციალურ დიალექტებს.

სალიტერატურო ენის ნორმები კონსერვატიულია, იგი საუკუნეებს უძლებს, ცოცხალი მეტყველების ნორმები გაცილებით სწრაფი ტემპით იცვლება. გრამატიკული და ნორმირებული ხშირად განსხვავდება ერთმანეთისგან. დღესდღეობით ნორმა ჩამორჩება ენის განვითარებას, რადგან დღეს ქარბობს უზუალური ფორმები, რომელთაც ნორმატიული ბარიერები ვერ აჩერებს.

ნორმალიზაციას დიდი ხნის ტრადიციები აქვს. ცნობილი არაა რაიმე ადრინდელი გრამატიკული ტრაქტატი ან ნორმათა კრებული, მაგრამ V-XI საუკუნეთა ქართულ წერილობითს ძეგლებში სალიტერატურო ენის ნორმები მტკიცედაა ჩამოყალიბებული და მწერლები და გადამწერები მტკიცედ იცავენ მას. სწორედ ამიტომაც თვალში საცემი ყოველი გადახვევა სალიტერატურო ენის ნორმათაგან.

აკად. ა. არაბული წერს, რომ „თვით პირველი მნიშვნობრული ძეგლიც კი ნორმატიულია, რადგან მისი შემქმნელი მიჰყვებოდა რაღაც წესებს, ყოველი მომდევნო ავტორი კი ითვალისწინებდა არსებულ ენობრივ გამოცდილებას და წერდა მას. ადრინდელი ეპიგრაფიკული და ხანმეტი მნიშვნობრული ძეგლები არსებითად მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებს სტაბილურობას“.

ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი „სიტყუად ართრონთათჳს“ (XI ს-ის უცნობი ავტორი) მოწმობს, რომ „ძველი მნიშვნობრები კარგად ერკვეოდნენ ენის საკითხებში,

იცნობდნენ ბერძნულ გრამატიკას და ამასთან ერთად ცდილობდნენ ქართული ენის ბუნებისა და გრამატიკული წესების შესწავლასაც“.

ნორმალიზაციის პრინციპთა შემუშავებას ნინ უძღვეოდა საუკუნოვანი ფიქრი, სჯა, მუშაობა თეორიულ საკითხთა გარშემო. დღეს ნორმები გადასახედი, ჯერ კიდევ 1967 წელს ა. შანიძეს ენადა თბილისიდან მოშორებით ნასულიყო ორიოდ სპეციალისტთან ერთად ენის ნორმების დასამუშავებლად. ეს იდეა ანდერძით დღესაც ელოდება ამსრულებელს. საჭიროა და აუცილებელი შეიქმნას ენის ნორმათა დამდგენი კომისია და გადაიხედოს ნორმები. ათონის და პეტრიწონის სალიტერატურო სკოლებში უკვე არსებობდა ენისადმი შეგნებული მიდგომა. „სიტყვის კონას“ სულხან-საბამ წაუძღვარა „ანდერძნამაგი“: „რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი არღარა იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილ იყო... ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰქარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ“.

XII საუკუნის შემდეგ ნორმირების საფუძველები შეირყა. საშუალო საუკუნეთა წერილობითი ძეგლების ენაში შეიმჩნევა ფორმათა სიჭრელე; XVIII საუკუნის მიწურულს ქართული ენა, მისი ლექსიკა თითქმის წაღუკა აღმოსავლურმა ნაკადმა. ენის ნორმალიზაცია საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა მე-19 საუკუნეში. გრიგოლ ორბელიანი წერდა: „ჩვენ ქართული ენის უცოდინართ ვინ მოგვცა უფლება ასეთის კადნიერებით უარყვოთ, უკუგვდოთ და შეეცვალოთ დიდთა მეცნიერთა მიერ დადებული კანონები“.

კლასიკოსი „პასუხი შეილთაში“ ცრუ რუსთაველთ და უსწავლელთ უწოდებს შვილების თაობას და ბრალს სდებს მათ მდიდარი და მალალი ენის ნახდენაში. გრ. ორბელიანი წერას უწუნებდა სერგეი მესხსაც: ვერ ისწავლა მესხიმ წერა, ვერა... მას დასტად ედო მაგიდაზე ფერადი ფანქრით აჭრელბული უურნალ-გაზეთები, მეტადრე კიცხავდა „დროების“ რედაქტორებს... ენის დაცემის ერთ-ერთ მიზეზად იგი „უურნალისტი მწერლები“ (ახალი თაობის გარკვეული ნაწილის) ქართულის ნორმების უცოდინრობას მიიჩნევდა. მისი აზრით, ქართული ენის ეტალონი არის საღმრთო წერილი — „მართლად მოუღვენელი საუნჯე ჩუწნის ენისა“.

დ. ყიფიანის შეხედულებითაც გრამატიკა ცოცხალი ენის კანონებს უნდა ასახავდეს, არ უნდა ჩამორჩეს მას; გაუმართლებელია უცხო ენათათვის დამახასიათებელი კატეგორიების შემოტანა და ქართული ფრაზეოლოგიზმების შეცვლა კალკებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსი, ახლადშემკმნილი ერთიანი საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია-ფაბლაბი და სტუდენტების მიერ დამზადებული პროდუქცია დაათვალიერა.

ფაბლაბი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის ბაზაზე 2015 წლის დასასრულს დაარსდა და ულტრათანამედროვე აპარატურით არის აღჭურვილი. 3 პრინტერები, ლაზერული მჭრელი და სხვა პროგრამირებადი დაზა-დანადგარები ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს სხვადასხვა ინოვაციური პროდუქტის ტესტირების საშუალებას აძლევს. ფაბლაბის ბაზაზე შესაძლებელია სხვადასხვა პროდუქტის პროტოტიპირება და მათი მცირე რაოდენობით წარმოება. ინოვაციების ლაბორატორიაში ნებისმიერ სტუდენტს აქვს საშუალება პრაქტიკულ და ბაზარზე ორიენტირებულ ცოდნის მიღებასთან ერთად, გაეცნოს თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებს.

ბსუ-ში ვიზიტის ფარგლებში, მინისტრმა ახალი კორპუსის სრულიად რეაბილიტირებული მე-4 და მე-5 სართულები, განახლებული ზოოლოგიისა და მინეროლოგიის კაბინეტები, იურიდიული კლინიკა, განახლებული სასამართლო სამიტიცაციო დარბაზი, თანამედროვე კრიმინალისტიკური ლაბორატორია და ფოტო-ვიდეო სტუდია მოინახულა. თამარ სანიკიძის განცხადებით, ახალ სასწავლო წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი განახლებული კვლევითი დაწესებულებებითა და მძლავრი მატერი-ალურ-ტექნიკური ბაზით შეხვდება.





ქართული ენა მაკონტროლებელი ორბანოს გარეშე

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

ი. ჭავჭავაძის მეთაურობით XIX საუკუნის მეორე ნახევარში გატარდა ორთოგრაფიული რეფორმა და დაიწყო ბრძოლა მწერლობაში დიალექტიზმების და კალკების განუკითხავ შემოტანასთან. ილია და მისი თანამოაზრენი მიიჩნევდნენ, რომ სალიტერატურო ენა უნდა დაახლოებოდა ხალხურ მეტყველებას „ხალხია ენის კანონის დამდებია და არა ანბანთ თეორეტიკა“. სალიტერატურო ენამ ხელი აიღო ძველი ასოების ხმარებაზე. ქართული ენის მცოდნეთა კრებამ დაადგინა ბევრი ენობრივი ნორმა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება არსებითი ხასიათის მუშაობა სალიტერატურო ენის საცილობელ საკითხთა მოსაგვარებლად, მომნიჭებული იყო ნიადაგი ნორმალიზაციისათვის. XX საუკუნის დასაწყისში სალიტერატურო ენის ნორმირების ისტორიაში გარკვეული როლი შეასრულა პ. ჭარია-ს, ს. გორგაძის, ივ. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძის, კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას, იუსტ. აბულაძის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, დ. უზნაძის, ს. ჯანაშიას, არნ. ჩიქობავას, ს. ყაუხჩიშვილისა და სხვა მეცნიერთა ნაშრომებმა და გამოცემებმა.

1899-1900 წლებში ქუთაისში ამ მიზნით საგანგებო წრეც კი ყოფილა, მოგვიანებით ასეთი წრე თბილისშიც შექმნილა. როცა არ არსებობდა სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია, შეიმჩნეოდა ტენდენცია ნორმირებისაკენ, „ახლა ყველა გამსწორებელს თავისი გრამატიკა უდევს ჯიბეში და იმის მიხედვით ასწორებს“, — წერდა გაზეთ „შინაური საქმეების“ რედაქტორი ს. მჭედლიძე.

1920 წელს გაიმართა ენის მცოდნეთა კონფერენცია. საორგანიზაციო კომისიამ (წევრები: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, ვუკ. ბერიძე) 1921 წელს გამოსცა წიგნაკი „სალიტერატურო ქართულსათვის“ (პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად).

1925 წელს დაარსდა ცენტრალური სატერმინოლოგიო კომისია, 1934 წელს განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი რესპუბლიკური კომისია (30 წევრის შემადგენლობით), რომელმაც 1936 წელს ცალკე წიგნად გამოსცა „სალიტერატურო ქართულსათვის“ (პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად).

1946 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ნორმათა დამდგენი კომისია. მას ჯერ სიმონ ჯანაშია თავმჯდომარეობდა, შემდეგ — ა. შანიძე.

1953 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომლის ხელმძღვანელობა ავტომატურად ეკისრებოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო კომისიაში შედიოდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები, მწერლები, პრესის მუშაკები.

ამავე წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ენის ნორმათა განყოფილება, რომელიც 1963 წელს გარდაიქმნა მეტყველების კულტურის განყოფილებად. მას 1953-1982 წლებში ხელმძღვანელობდა ივ. გიგინეიშვილი, 1982-2006 წლებში — შუქია აფრიდონიძე, 2006 წელს კი აირჩიეს თ. ვაშაქიძე.

სწორედ ამ ნორმათა საფუძველზე დამუშავდა «სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი», რომელიც 1941 წელს გამოიცა, მეორე

გამოცემა 1946 წელს დაიბეჭდა, ხოლო მესამე — 1949 წელს, 1968 წელს კი გამოქვეყნდა ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის ვრცელი «ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი». მაშინ ამ ლექსიკონში 15000 ერთეული შედიოდა, საბოლოო გამოცემა კი, რომელიც 1998 წელს განხორციელდა, 80000-მდე ერთეულს შეიცავს. 1965 წლიდან მოყოლებული დღემდე სამჯერ გამოიცა ვ. თოფურიას «ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი».

1970 წელს გამოქვეყნდა «თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები» (კრებული პირველი რედაქტორი ივ. გიგინეიშვილი), პირველ კრებულს დამატების სახით ერთვის ადამიანთა საკუთარი სახელების სარეკომენდაციო სია. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები დაიბეჭდა აგრეთვე მინისტრთა საბჭოს ბიულეტენებში: 1985 წ. 1-2 და 1987 წ. 3.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში 1972 წლიდან დაარსდა სპეციალური კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. აქ ქვეყნდება წერილები სალიტერატურო ენის ნორმირების შესახებ.

1991 წელს მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის

ლექსიკონი“ და მრავალი სხვა. ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებამ გამოსცა «პარონიმების ლექსიკონი»; «ჟურნალისტიკის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი».

2004 წ. ენის ნორმათა დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიაც გაუქმდა. შეიქმნა არაქართულენოვანთათვის ქართული ენის სწავლების ცენტრი. ენათმეცნიერები თანხმდებიან, რომ ნორმათა დამდგენი და შემდეგ ამ ნორმების შესრულების მაკონტროლებელი ინსტიტუცია ქვეყანაში აუცილებლად უნდა არსებობდეს, თუმცა, ვის უნდა ექვემდებარებოდეს და რა უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს, ამაზე განსხვავებული პოზიციები არსებობს.

აკად. ავთანდილ არაბული ადასტურებს, რომ ბოლო ხანებში ქართული ენის უამრავი ნორმა შეიცვალა. ჩვენ სისტემატიურად ვმუშაობთ ლექსიკონებზე, გამოცემთ კიდევ პატარა ლექსიკონებს (სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, ჟურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარი და ა.შ.). ამ გამოცემებში შეტანილია ყველა დღეს არსებული ისახლე, მაგრამ მათი დამკვიდრებისთვის უნდა არსებობდეს სახელმწიფო ინსტანცია, რომელსაც წარუდგენთ ამ ისახლეებს, ისინი დამტკიცდება და



ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია გადაკეთდა საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ მუდმივ სახელმწიფო კომისიად. მაშასადამე, კომისია უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტს დაექვემდებარა მას ვეფხვივად ნორმათა დადგენასთან ერთად ქვეყნის ენობრივი პოლიტიკის განსაზღვრა და რეგულირება. იგივე ეკისრა საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტსაც. ქვეყნის გართულეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო კომისიის საქმიანობა რამდენიმე წლით შეწყდა. საორგანიზაციო მუშაობა განახლდა 1994 წელს. 1995 წლის ოქტომბერში გაიმართა კომისიის პირველი სხდომა. 1996 წელს ქუთაისში შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი კომისია და ენის სამსახური, ხოლო 1997 წელს დაარსდა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა.

2002 წელს გამოვიდა შ. აფრიდონიძის «ჩვენი ენა ქართული», ამავე წელს გამოიცა «ჟურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარი», 2004 წელს გამოქვეყნდა ლ. ლეჟავას «ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია და პრინციპები», ამავე წელს გამოვიდა ა. არაბულის «ქართული მეტყველების კულტურა», 2009 წელს დაიბეჭდა «ჟურნალისტიკის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური

ყველასთვის სავალდებულო გახდება».

კახა გაბუნია ფიქრობს, რომ „სტრუქტურა, რომელიც ენის სინამდვილე იზრუნებს, უშუალოდ პარლამენტს უნდა ექვემდებარებოდეს. ეს უნდა იყოს ზედინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც სამინისტროებსაც (მათ შორის, განათლების სამინისტროსაც) კონკრეტული ნორმების დაცვას თუ ტექსტების ჩასწორებას დაავალდებულებს. ვის აქვს პასუხი, რა, როგორ უნდა ვთქვათ ან დავწეროთ, როცა ათი წლის განმავლობაში ენაში უკონტროლოდ მკვიდრდებოდა ამდენი უცხო და არაბუნებრივი ფორმა თუ სიტყვა, რას გვეტყვის სტრუქტურა, როგორ გადაწყვეტს? ნორმაც ცოცხალია, ისიც იცვლება. ენა ივსება, შემოდის სიტყვები, რომლებიც არსად ფიქსირდება. ყოველ თავმოყვარე ქვეყანაში ყოველ წელს გამოიცემა ორთოგრაფიული ლექსიკონის ჩასწორებები. ჩვენთან ათ წელზე მეტია არაფერი განახლებულა“.

მიმდინარე წელს, 13 აპრილს, მწერალთა სახლმა უმასპინძლა საჯარო დისკუსიას თემაზე „ქართული ენა დღეს: ნორმები და სინამდვილე“. ქართული ენის ბედი სათუთა. როგორ უნდა შევინარჩუნოთ ენის სიმდიდრე და როგორ უნდა მოვარგოთ ის თანამედროვეობას — მწერალთა სახლში ამ და სხვა საკითხებზე ისაუბრეს მომხსენებლებმა.



როგორია თანამედროვე ქართული ენა? რა გამოწვევების წინაშე დგას ის? სწორედ ამ ამბებს უყვება მწერალთა სახლში შეკრებილ მსმენლებს ენათმეცნიერი მზექალა შანიძე.

მზექალა შანიძე ახლა იმაზე ნუხს, რომ დროთა განმავლობაში 1978 წლის აპრილის დღეები მხოლოდ ოფიციალურ რიტუალად იქცა, რაც, მისი თქმით, ცუდი არ არის, თუმცა ამბობს, რომ ამ რიტუალს ენაზე ზრუნვაც უნდა მოჰყვებოდეს. ენათმეცნიერი ფიქრობს, რომ ენის განვითარებისათვის, ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივი ზრუნვაა საჭირო, მეორე მხრივ კი, საზოგადოებამ კარგად გააცნობიეროს მშობლიური ენის შენარჩუნებისა და განვითარების მნიშვნელობა. ეს საზოგადოების მონაწილეობის გარეშე ვერ მოხერხდება და მხოლოდ ენის დეპარტამენტისა თუ ენის ნორმების კომისიის ფუნქციონირებითა და მუშაობით ვერ ამოიწურება ყველა ის საჭიროება, რომლებიც ენის განვითარებასთან არის დაკავშირებული:

„ჩვენ შეიძლება ნორმები დავადგინოთ, დავწეროთ, ათასი წიგნის ტირაჟით გამოვცეთ, მაგრამ ეს ნორმები იქნება მკვდარი. ხალხში უნდა გავრცელდეს ნორმები. ხალხი უნდა მონაწილეობდეს ამ ნორმების მიღებაში. თუ ხალხში არ გავრცელდა ნორმა, იქნება ეს გრამატიკული თუ ლექსიკური, ისე ჩვენ, ენათმეცნიერებმა, რამდენიც არ უნდა ვწეროთ, არაფერი გამოვა“. ამ აზრის სათლესტრაციოდ მზექალა შანიძეს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს. მათ შორის ერთი მამამისს, აკაკი შანიძეს, და კიდევ ერთ გამოჩენილ ენათმეცნიერს, არნოლდ ჩიქობავას, უკავშირდება. მოქმედება 1944 წელს ჯავახი, სანატორიუმში, ხდება: „დამსვენებელი“ არის მოქმედებითი გვარის მიმღობა და ნიშნავს, რომ ის ასვენებს მას. და შემოიღეს მამაჩემმა და არნოლდმა, ერთმა „მესვენე“, მეორემ — „დამსვენე“. იყო ერთი ხარხარი და სიცოლი, აბა, შენ მესვენებს ეკუთვნი თუ დამსვენებსო. რა თქმა უნდა, არაფერი არ გამოუვიდათ, იმიტომ რომ ენაში რომ ერთხელ შემოვა ფორმა და ის საყოველთაო გახდება“.

ენის სიმდიდრესა და განვითარებაზე საუბარს მზექალა შანიძე ქართულ თანამედროვე ლიტერატურაზე დაკვირვებით აგრძელებს. ის ნუხს, რომ თანამედროვე მწერლების უმეტეს ნაწარმოებებში არ ჩანს ენობრივი ძიების მცდელობა. სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში ქართული ენა გაღარიბდა და დავიდა საკანცელარო ენის ნორმებზე. მისი თქმით, ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მაშინ, როდესაც პოლიტიკოსები ლაპარაკობენ, მათი ენა კი სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს საზოგადოებაში. სწორედ ამის

გამო აკისრებს მზექალა შანიძე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას თანამედროვე ქართველ მწერლებს: „როდესაც კარგი მწერალი რაღაც სიტყვას შემოიტანს, ფრაზას ახლებურად შემოატრიალებს, ის აუცილებლად გავრცელდება. ქართულსა და ზოგიერთ სხვა დიალექტში არსებობს სიტყვა „შინაბერა“. მაგრამ ვინ იცოდა ეს? სანამ კონსტანტინე გამსახურდიამ არ გამოიყენა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მანამდე სიტყვა კვდებოდა. და ასეთი კარგი, ძალიან კარგი ლექსიკა კვდება, ხალხო. სოფლებში არის კიდევ ეს ქართული სიტყვები. გოდერძი ჩოხელმა ბევრი შემოიტანა. ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივი ზრუნვა და, მეორე მხრივ, ხალხის ინტერესის გაღვივება ენისადმი. სხვანაირად, ქართული ენა მოკვდება“.

ჟურნალისტიკა ზვიად ქორიძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ჟურნალისტიკისა და პოლიტიკოსების სამეტყველო ენას. მისი აზრით, იმ ტიპის სინტაქსი, რომელსაც პოლიტიკოსები იყენებენ, ენისთვის დამღუპველია, თუმცა იმასაც ამბობს, რომ ამის მიზეზი ის ისტორიული სინამდვილეა, რომელიც ქართველ პოლიტიკოსებს მოუწიათ განვითარება:

„ქართულ ენას თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე არ ჰქონია, აი, ასეთი პოლიტიკური პლასტიკა, რადგან პოლიტიკური პროცესი ამ ენაზე არასდროს წარმართულა, თუ არ ჩავთვლით ხანმოკლე ცდუნებას პოლიტიკურ დისკურსში ქართული ენის გააქტიურებისა, რაც ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს და ნიკო ნიკოლაძეს. მერე, როცა უკვე ბოლშევიკური ენა შემოვიდა, ჩვენ არ გვეკონდა აქტიური პოლიტიკური ენა. შესაბამისად, ეს მედიანაც იმიტომ არის ასე გაქვევებული მდგომარეობაში, რომ ჩვენ პრაქტიკულად აღმოვჩნდით იმ კლიშეებში და ქართული ჟურნალისტიკა საუბრობს იმ კლიშეებით, რომელიც საბჭოთა ჟურნალისტიკურმა პრაქტიკამ დაამკვიდრა“.

რაც შეეხება ენაზე სახელმწიფოებრივ ზრუნვას, ენათმეცნიერები თანხმდებიან, რომ სახელმწიფო ენის დაცვას სჭირდება ენობრივი პოლიტიკა, საკანონმდებლო და ინსტიტუციური უზრუნველყოფა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი გათვალისწინებულია 2015 წლის 22 ივნისის სახელმწიფო ენის შესახებ პარლამენტის მიერ მიღებული კანონით, საკანონმდებლო ნორმები, რომელთა მიხედვითაც უნდა დარეგულირდეს სახელმწიფო ენის ფუნქციონირება, ქაოსურია და სრულყოფამდე მათ ჯერ კიდევ ბევრი აკლია.

ამრიგად, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სავალალო მდგომარეობას განაპირობებს ის, რომ გადასახედია ნორმები და არ არსებობს მაკონტროლებელი ორგანო, რომელთაც დავიცავთ ენის სინამდვილეს.

ასოცირებული პროფესორი ნანა ცეცხლაძე

ფაკულტეტი არაერთი მნიშვნელოვანი სიახლეა

სიახლეები ფაკულტეტის ცხოვრებაში, მიღწეული წარმატებები, განხორციელებული პროექტები, გარემონტებული და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კრიმინალისტიკის კაბინეტი, იურიდიული კლინიკა, სასამართლო საიმითააციო დარბაზი, კომფორტული სამუშაო გარემო როგორც პროფესორებისთვის, ისე სტუდენტებისთვის, სამომავლო გეგმები და პერსპექტივები... ამ და სხვა საკითხებზე საუბრობს ჩვენი გაზეთის სტუმარი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ბატონი ალამ მახარაძე.

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად სოციალურ მეცნიერებათა, ზიზნისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დაყოფის შედეგად, 2014 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა. ფაკულტეტზე ირიცხება 443 სტუდენტი. მუშაობს 14 აკადემიური პირი და 25-მდე მონვეული სპეციალისტი. აუცილებელად უნდა აღინიშნოს, რომ მონვეულ

ლებთან. ამ შეხვედრების პროცესში მეტ-ნაკლები ცდომილებით ირკვევა, რომ ჩვენი კურსდამთავრებულთა დასაქმების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი 70-დან 80 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ეს, რა თქმა უნდა, არ არის იდეალური მაჩვენებელი, თუმცა დღევანდელი დასაქმების ბაზარს თუ გავითვალისწინებთ, საკმაოდ კარგია. გსწავლის პროცესში ყურადღების გამახვილება პრაქტიკულ უნარ-ჩვევების გა-



სპეციალისტებს შორის სალექციო კურსები მიჰყავთ სამ მოქმედ და ერთ რეზერვის მოსამართლეს, რომლებსაც აქვთ მინიმუმ 5 წელზე მეტი მოსამართლედ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. ფაკულტეტი ახორციელებს ერთ საბაკალავრო — სამართალმცოდნეობის და ერთ სამაგისტრო — სამართლის საგანმანათლებლო პროგრამას. ორივე პროგრამა საკმაოდ მაღალი რეიტინგულობით გამოირჩევა, თუმცა, საბაკალავრო პროგრამაზე მაინც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო სამი წელია ის საქართველოს მასშტაბით ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს და აბიტურიენტთა მიერ პირველი ადგილის განაცხადების მიხედვით ერთ ადგილზე მოდის ხუთიდან შვიდ კონკურსანტამდე.

მომუშავებაზე. ფაკულტეტზე ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სტუდენტებმა თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება მოახდინონ. ამისთვის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს გარემონტებული და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კრიმინალისტიკის კაბინეტი, იურიდიული კლინიკა და სასამართლო საიმითააციო დარბაზი. კრიმინალისტიკის კაბინეტის საფუძველზე სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა წარმართონ კონკრეტული საგამოცდებო მოქმედებები დანაშაულის კვლის დასადგენად, მის ამოსაღებად, დასამაგრებლად და სხვ. იურიდიულ კლინიკაში სტუდენტებს შეუძლიათ კორდინატორის ხელმძღვანელობით (კორდინატორი დამკვიდრებული



ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგს, ვფიქრობთ, განაპირობებს მინიმუმ შემდეგი სამი გარემოება: ა) პროფესორ მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია. ფაკულტეტს ამჟამად ჰყავს 3 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 6 ასისტენტ პროფესორი. ჩვენი ფაკულტეტის პროფესორთა საკმაოდ ახალგაზრდაული გუნდია და ისინი ძალადა და ენერჯიას არ იშურებენ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, ასევე, სხვადასხვა სამეცნიერო კვლევებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობით მუდმივად ზრუნავენ საკუთარი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ბ) დასაქმების ბაზრის მზარდი მოთხოვნილება პროფესიონალ კადრებზე. წელს ჩვენს ფაკულტეტს ჰქონდა შესხვედრები დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებუ-

პრაქტიკის მიხედვით არის მოსამართლედ ნამუშევარი გამოცდილი კადრი) კონკრეტულ კლიენტებს გაუწიონ იურიდიული მომსახურება, გაუწიონ კონსულტაცია, შეუდგინონ დოკუმენტაცია, განახორციელონ რიგ საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობა და სხვა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ კლინიკაში მომრავლდა კლიენტთა რაოდენობა და მხოლოდ გასულ წელს 200-ზე მეტი საქმე შემოვიდა იურიდიულ კლინიკაში. ეს ტრადიცია გრძელდება მიმდინარე პერიოდშიც და ამით ჩვენი ფაკულტეტი ერთი მხრივ ეხმარება ჩვენს მოქალაქეებს, ხოლო მეორე მხრივ სტუდენტები იძენენ დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას. სტუდენტებს ძალიან მოსწონთ ასევე სასამართლო საიმითააციო დარბაზში იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობა და

ხშირად არის კონკურსი თუ ვინ უნდა ითამაშოს მოსამართლის როლი. ეს მეტყველებს ორ რამეზე: პირველი, — კარგად სწავლის მოტივაციაზე, იმიტომ, რომ მოსამართლე ყველაზე მცოდნე ფიგურაა დიდი პასუხისმგებლობით, რომელიც გადაწყვეტილებას სახელმწიფოს სახელით აცხადებს და მეორე, — პროფესიისადმი ლტოლვაზე, იმიტომ, რომ ყველა იურისტის სურვილია მიაღწიოს ღირსეული მოსამართლის სტატუსს. თუმცა, საკმაოდ საინტერესოა სხვა როლების შესრულება, სადაც სტუდენტები ავლენენ თავიანთ თეორიულ ცოდნას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩვენი ფაკულტეტის ბაზაზე წარმატებით ფუნქციონირებს საზაფხულო სკოლა „ევროკავშირის სამართალი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“. აღნიშნული საზაფხულო სკოლა ხორციელდება ევროკავშირის ფან-მონეს სახელობის გრანტის ფარგლებში. წელს აღნიშნული სკოლა იმუშავებს 16-24 ივლისს, სტუდენტთა რეგისტრაციის პროცესი 3 მაისს დასრულდა და სკოლაში მონაწილეობის მისაღებად 25 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 97 სტუდენტი მსოფლიოს 26 ქვეყნიდან. საზაფხულო სკოლაში ლექციებს წაიკითხავენ ავსტრიელი, ესტონელი, თურქი და ქართველი პროფესორები. საგულისხმოა, რომ ამ ზაფხულს ჩვენი ფაკულტეტის მონაწილეობით მოგებული იქნა ახალი ერაზმუს პლოუსის ფან-მონეს სახელობის ახალი გრანტი. ამ გრანტის მონაწილეები არიან ასევე ესტონეთის, ავსტრიის, თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის უნივერსიტეტები. აღნიშნული გრანტი, რომლის სახელწოდებაც „ევროკავშირის კვლე-



ეთმო სამართლის სწავლების პრობლემებს და ასევე, სამეცნიერო კუთხით მრავალ აქტუალურ და სადაო საკითხებს. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობის პროცესში დაავაყარე კონტაქტები, სადაც პოლანდის, ავსტრიის და ამერიკის უნივერსიტეტებმა გამოთქვეს მზადყოფნა სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების შესახებ. ამჟამად მიმდინარეობს ელექტრონული მოლაპარაკებები ცალკეულ დეტალებზე და ვფიქრობ არ უნდა იყოს შორეული პერსპექტივა ის ფაქტი, რომ ჩვენმა სტუდენტებმა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიაკითხონ მათი სურვილის შემთხვევაში ევროპისა თუ ამერიკის უნივერსიტეტებს.

აუცილებელ აღინიშნას საჭიროებს ის გარემო, სადაც ჩვენს სტუდენტებს უხდებათ სწავლა ან პროფესურას მუშაობა. ახდა



ვების სწავლება კავკასიის ქვეყნებისათვის“ გრძელდება 2016 წლიდან 2019 წლის ჩათვლით და იგი მოიცავს ერთობლივი კვლევების განხორციელებას, სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნებას, ახალგაზრდა მკვლევართა სემინარების წარმართვას, საზაფხულო სკოლებს და სხვა. წლებიდან საზაფხულო სკოლაში თანადაფინანსება განხორციელდება აღნიშნული გრანტიდან. ამ გრანტის ფარგლებში უკვე მიმდინარე წლის 18-23 აპრილს სამი მკვლევარი იმყოფებოდა ქალაქ გრაცში „ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა სემინარზე“.

იურიდიული ფაკულტეტი ორი წელია არის „ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაციის“ წევრი. წელს ამ ასოციაციის ეგიდით ქალაქ გრონინგენში გაიმართა კონფერენცია, სადაც დიდი ყურადღება დადილი ხნის ნატვრა, ფაკულტეტს ჰქონდა კომფორტული, გარემონტებული გარემო. მიმდინარე ზაფხულს მთლიანად გარემონტდა ჩვენი სასწავლო აუდიტორიები, სამუშაო ოფისები, კორიდორი, ფაკულტეტი აღიჭურვა ახალი ტექნიკით, მოუნყო კომპიუტერული სტუდენტური კუთხე. ფაკულტეტზე გაკეთდა ამფითეატრის მსგავსი შეფენილი აუდიტორია, რომელიც უახლოეს ხანში იქცევა საკონფერენციო და დისტანციური ლექციების წასაკითხ დარბაზად. დაგეგმილია და მალე დასრულდება ფაკულტეტის შეხვედრების ოთახის შექმნა, სადაც ფაკულტეტის სტუმრებს მივიღებთ საქმიან გარემოში. ერთი სიტყვით, ფაკულტეტზე არის არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე და სამომავლო პერსპექტივები რომელიც ვფიქრობთ, რომ უპასუხებს თანამედროვე გამოწვევებს“.






სრულყოფილი ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობილი აუდიტორიები და თანამედროვე ლაბორატორიები

სიახლეები ფაკულტეტის ცხოვრებაში, მიღწეული წარმატებები, განხორციელებული პროექტები, თანამედროვე დიფერენციალური ტექნოლოგიები, სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები, განხორციელებული სარემონტო სამუშაოები, კომფორტული სამუშაო გარემო როგორც პროფესორებისათვის, ისე სტუდენტებისთვის, სამომავლო გეგმები და პერსპექტივები... ამ და სხვა საკითხებზე საუბრობს ჩვენი გაზეთის სტუმარი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, ქალბატონი მარინა ქორიძე.

მიმდინარე წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო — ფართო მასშტაბით, ღირსეულად, აკადემიურად აღინიშნა უნივერსიტეტის 80 წლის იუბილე და კიდევ ერთი ლამაზი ფურცლით შეივსო მისი ისტორია. გიმნაზიიდან უნივერსიტეტისკენ მიმავალ გზაზე ის რეგიონის ძირითად საგანმანათლებლო კერად ჩამოყალიბდა. ულამაზესი გეოგრაფიული მდებარეობა და

მართლებით გვექონდა — წლებია ფაკულტეტზე სწავლობენ აზარბაიჯანელი, თურქი, რუსი და უკრაინელი სტუდენტები. ისინი პირველ წელს ეუფლებიან ქართულ ენას და შემდეგ ქართულენოვან პროგრამაზე აგრძელებდნენ სწავლას. წელს ფაკულტეტზე ამოქმედდა დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომე-

მორანდუმი გაფორმდა ყაზახეთის ქ. აქტობეს სამედიცინო უნივერსიტეტთან, რომლის საფუძველზეც ფაკულტეტის სამედიცინო განათლების ცენტრის ბაზაზე მომზადებული რუსულენოვანი მოკლევადიანი პროგრამა გაიარა აღნიშნული უნივერსიტეტის თექვსმეტმა მაგისტრანტმა. ამჟამად, მოლაპარაკება მიმდინარეობს ასტანის სამედიცინო უნივერსიტეტთან. მემორანდუმები გაფორმდა ასევე, კანადის სასკაჩუეანის სამედიცინო უნივერსიტეტთან. კანადის სასკეჩუეანის და პოლონეთის სილეზიის სამედიცინო სკოლასთან ერთად ფაკულტეტის ბაზაზე დაწყებულია მუშაობა ასთმისა და სხვა ალერგიულ დაავადებათა საერთაშორისო ეპიდემიოლოგიური კვლევისათ-



სწავლების 80-წლიანი გამოცდილება უნივერსიტეტის სავიზიტო ბარათად იქცა. დღეისათვის, განათლების სისტემაში რთული გამოწვევების პერიოდში, მემკვიდრეობით მიღებულ ჩვენი კუთხის საგანძურს გაფრთხილება, შენარჩუნება, განვითარება და თანამედროვე სტანდარტებთან მისადაგება ესაჭიროება. უნივერსიტეტის ორი ძირითადი მიმართულება — განათლება და მეცნიერება მუდმივ დინამიკასა და განვითარების პროცესს გულისხმობს. ნებისმიერი პროცესის შეფასების კრიტერიუმს მისი დინამიკურობის ხარისხი წარმოადგენს. განათლებისა და მეცნიერების განვითარება წარმოუდგენელია სრულყოფილი ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობილი აუდიტორიებისა და თანამედროვე ლაბორატორიების გარეშე. ამ მიმართულებით განვითარებადი პროცესი კი უნივერსიტეტში სწრაფად მიმდინარეობს. განახლებული ფას-პორტო მოედანი, უნივერსიტეტის ეზო და ცენტრალური ფოიე ყველა უნივერსიტეტელს ახარებს. სხვა ფაკულტეტის შესახებ, დარწმუნებული ვარ, მათი წარმომადგენლები ისაუბრებენ. მე მიმდინარე სასწავლო წლის იმ ცვლილებებზე გავამახვილებ ყურადღებას, რომლებიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე განხორციელდა. განსაკუთრებული ნაბიჯებია გადადგმული ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით. გარკვეული გამოცდილება ამ მი-

ლიც სრულად ინტეგრირებული და ორიენტირებულია თანამედროვე სტანდარტებზე. აღნიშნულ პროგრამაზე დღეისათვის ჩარიცხულია ინდოეთის 37 მოქალაქე. ჩვენ ამ მიმართულებით კვლავ ველოდებით შევსებას. ვცდილობთ, საერთაშორისო ურთიერთობები უფრო მეტად გავამყაროთ. სულ ახლახან მე-

ვის ერთობლივი სამეცნიერო პროექტის განხორციელების მიზნით. მოხარული ვართ, რომ საერთაშორისო ინტერესი ჩვენი უნივერსიტეტის მიმართ დღითიდღე იზრდება. გააქტიურდა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობის პროცესი. საიუბილეო წელს მიეძღვნა სხვადასხვა ღონის-

ძება, მათ შორის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ეკოლოგიური ცნობიერება და გარემოსდაცვითი განათლება“ და სკოლა-სემინარი „ბიომედიცინის აქტუალური საკითხები“, რომლის ფარგლებშიც ქართველმა და უცხოელმა პროფესორებმა ჩაატარეს ლექციები, მასტერ-კლასები და ლაბორატორიული მეცადინეობები. გამოიცა სახელმძღვანელოები, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ასევე ჯანდაცვის მიმართულებით. მთელი წლის განმავლობაში ეტაპობრივად ხდება წიგნადი ფონდის შევსება, ავეჯის, თანამედროვე ლაბორატორიული და კომპიუტერული ტექნიკის განახლება. გაცილებით თანამედროვე და კომფორტული გახდა საფაკულტეტო სივრცე. ფოიეში გამოიყო ადგილები, სადაც დაიდგა ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერები. სასაიმპონო, რომ აღნიშნული სივრცეები მთელი დატვირთვით ფუნქციონირებს. სრულად განახლდა ზოოლოგიისა და მინერალოგიის კაბინეტები. ჩვენი ემერიტუსების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ლაბორანტების ძალისხმევით წლების განმავლობაში შეგროვილი, შენახული და ჩვენამდე მოტანილი ექსპონატები თანამედროვე ინტერიერში, შესაბამის საგამოფენო სტენდებზე განთავსდა და მისი, როგორც სასწავლო თვალსაჩინოების, გამოყენება ბევრად უფრო კომფორტული გახდა. მინერალო-

გიისა და ზოოლოგიის თანამედროვე კაბინეტი დღეს ფაკულტეტის მშვენიერია. დარწმუნებული ვართ, ეს მდიდარი მასალა, რომელთა შორის ბევრი უნიკალური ექსპონატია, მომავალში კიდევ უფრო მეტად შეივსება. სულ მალე გაიხსნება განახლებული სტომატოლოგიური კლინიკა, რომელმაც შეიცვალა ადგილმდებარეობა. ვიმედოვნებ, სწორი მარკენტიგული მიდგომა და კლინიკის თანამედროვე აღჭურვილობა, რომელსაც დღე-დღეზე ველოდებით, წარმატებით გახდის კლინიკის საქმიანობას და ასევე, მნიშვნელოვანი იქნება სტომატოლოგიის მიმართულებით სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა „ბუნდენტი“ განსაკუთრებული პაკეტით მოემსახურება უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს. ერთი შეხედვით ეს საკმაოდ ლაკონური ჩამონათვალი უდიდეს შრომას, ძალისხმევას, დროს, ენერგიასა და მატერიალურ რესურსს მოითხოვს. უდავოა, რომ შეუძლებელია ფაკულტეტმა დამოუკიდებლად შეძლოს ამის გაკეთება, თუ არა რექტორატისა და ადმინისტრაციის მხარდაჭერა, თანადგომა, საკითხის მყისიერად და პროფესიონალურად გადაჭრა, ხშირ შემთხვევაში მათგან წამოსული ინიციატივები და რაც მთავარია, უნივერსიტეტის სიყვარული, საქმის კეთების სურვილი და უნარი.



ჩანართი

გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ მკითხველს ვთავაზობთ პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტების მიერ მომზადებულ რიგით მე-2 საგაზეთო ჩანართს.

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს

„ღმერთმა დალოცოს თითოეული სტუდენტი, თითოეული პროფესორ-მასწავლებელი, ღმერთმა დაგლოცოს, გაგაძლიეროს და მრავალბედნიერ აღდგომას დაგასწროთ“.

მამა სერგი აღდგომას, როგორც უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს, თანამედროვე სახე მიეცა მე-4 საუკუნეში, ნიკეის პირველი მსოფლიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას. ეს ხდება ახალი სტილით 4 აპრილიდან 8 მაისამდე, ამიტომ განეკუთვნება აღდგომა მოძრავ დღესასწაულს.

აღდგომას წინ უძღვის კიდევ ორი ისეთი ქრისტიანული დღესასწაული, როგორცაა ხარება და ბზობა. მათ დანიშნულებასა და არსზე გვესაუბრება ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა სერგი რუხაძე:

„აღდგომის დღესასწაული ქრისტიანული სამყაროსთვის ყველაზე დიდი და ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან აღდგომამ მოგვიტანა დიდი სიხარული. საეკლესიო სწავლების მიხედვით, აღდგომას დღესასწაულთა დღესასწაული ეწოდება, რადგან იგი ყველა დანარჩენთან აღმატებულია, ყველა წინამდებარე დღესასწაული, შობიდან დაწყებული, არის მზადე-

ბა აღდგომისთვის. აღდგომას წინ უსწრებს დიდი და მიიმე მარხვა, ეს არის განცდა ყველა იმ ტკივილისა, რომელიც უფალმა თავისი მოსვლით განიცადა დედამიწაზე და ამასთანავე მზადება იმ დიდი სიხარულისათვის, რასაც აღდგომა ჰქვია. მარხვის ბოლო კვირა არის ვენების კვირა და საეკლესიო მსახურება ეძღვნება მაცხოვრის ყველაზე მნიშვნელოვან — ბოლო დღეებს დედამიწაზე, ერთი კვირით ადრე ადამიანებმა უფალი დიდებით მიიღეს იერუსალიმის ტაძარში, ერთი კვირის შემდეგ კი იმავე ადამიანებმა, როგორც უკანასკნელი ავაზაკი, როგორც უკანასკნელი ცოდვილი, იმ დროისათვის ყველაზე სამარცხვინო სიკვდილით დასაჯეს, რასაც ჯვარზე გაკვრა ჰქვია, სამაგიეროდ ის ჯვარზე გაკვრა, ის ვენება, უდიდესი მნიშვნელობისაა, რადგანაც ჭირთა დათმენითა და ტკივილთა დათმენით უფალმა ჩვენ გამოგვიხსნა ცოდვის ბორკილებისაგან, ჯვარზე გაკვრა თავისთავად იყო გამარჯვება სიკვდილზე უფალისა, ასე ვთქვათ, ჯვარზე მიალურსმანა ყველა ის ცოდვა, რომელსაც ადამიანი ატარებდა. ამით მან საშუალება მოგვცა ჩვენ უკეთესები გაემზადრიყავით“.

„რაც შეეხება აღდგომის წინმსწრებ დღესასწაულს ხარებას,

ეს დღე არის კაცობრიობის ხსნის დღე, ეს არის ერთ-ერთი ძველი წინასწარმეტყველების აღსრულება. ჩვენ ვიცით, რომ იმ დღიდან როგორც კი ადამი გამოაძევეს ცათა სასუფეველიდან, უფალმა მისცა ნუგეში და უწინასწარმეტყველა, რომ მოვიდოდა კაცთა მოდგმიდან ისეთი, რომელიც გამოიხსნიდა ქვეყანას. ამის შემდგომ წინასწარმეტყველება ჩვენ მრავალჯერ გვხვდება წმინდა წერილში, ყველაზე მეტი წინასწარმეტყველების შესახებ უწერია ესაია წინასწარმეტყველს. იგი პირდაპირ ამბობს, რომ ქალწული შობს მაცხოვარს, მხსნელს, მესიას. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იყო ერთადერთი ქალი, რომელიც საკურთხეველში იქნა შეყვანილი მღვდელმთავრის მიერ, სწორედ მას აუწყებენ მაცხოვრის მუცლადღებას, ღვთისმშობელი არის გაოგნებული, შემფოთებული მთავარანგელოზის ხილვით, კითხვაზე — თუ რანაირად უნდა შვას მან, როცა ქალწულია, მთავარანგელოზი ეუბნება „მე ვარ ანგელოზი და გეუბნები შენ, რომ სულიწმინდა მოვა შენთან და მისგან შობს მაცხოვარს“. საოცარია ის, რომ ამის შემდგომ ღვთისმშობელს კითხვა არ დაუსვამს, პირიქით მორჩილად აღსარულებს ღვთის ნებას, ანგელოზი

ეუბნება ქალწულს „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი შენი, შენ უნდა შვა მაცხოვარი“, ღვთისმშობელი მორჩილებით პასუხობს იყოს ნება ღვთისა. ამრიგად, ხარება არის გამოსხნის დასაწყისი მთელი კაცობრიობისათვის.

რაც შეეხება ბზობას, რომელიც აღდგომის წინა კვირას აღნიშნება და მოძრავია, როგორც აღდგომა, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაული, მისი აღნიშვნა ქრისტიანულ მსახურებაში ფაქტობრივად პირველივე საუკუნიდან იწყება, როცა მოციქულების მიერ ეკლესია დააარსდა“, — ბრძანებს მამა სერგი.

ჩემთან საუბრისას მამა სერგი აღნიშნა, რომ საკმაოდ მჭიდრო კავშირი და კარგი ურთიერთობა აქვს ბათუმის შო რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და მოხარულია ამ ურთიერთობით: „ღმერთმა დალოცოს თითოეული სტუდენტი, თითოეული პროფესორ-მასწავლებელი, ღმერთმა დაგლოცოს, გაგაძლიეროს და მრავალბედნიერ აღდგომას დაგასწროთ“, — ამბობს მამა სერგი.

წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მრევლის ერთ-ერთი წარმომადგენელი რომანოზ ჩხაიძე ამბობს, რომ აღდგომა არის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი



დღესასწაული ქრისტიანულ რელიგიაში, ამიტომ მას სულიერად ამაღლებული განწყობით ხვდება, „როგორც ამბობენ, მარხვა სინანულისა აღდგომა სიხარულისა, მეც ისევე როგორც ყველა ქვეყნარტი ქრისტიანი, ქრისტეს აღდგომის დღეს დიდი სიხარულით და მოლოდინით ვხვდები, მზადებას რაც შეეხება, ვემზადები სულიერად, მარხვით, რაც აღდგომას წინ, ყველა ქრისტიანს ვულოცავ ამ უდიდეს, ბრწყინვალე დღესასწაულს, უფალი იყოს თქვენი მფარველი“.

მარიკა გამახარია,
პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტი



ჩვენთვის ცნობილია ერთი ლამაზი კალენდარული დღის არსებობა, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წიგნებისა და ავტორებისადმი პატივისცემას გამოხატავენ. ეს ყველაფერი 1923 წლის 23 აპრილს დაიწყო. ძველისძველი კატალონიური ტრადიცია ყოფილა: წმინდა გიორგის სახელობის დღეს ბარსელონელები და ქალაქის ირგვლივ მცხოვრებნი ერთმანეთს ვარდებს ჩუქნიდნენ, წიგნის გამყიდველებს გაახსენდათ, რომ 1616 წლის 23 აპრილი მიგვღე და სერვანტესის და უილიამ შექსპირის გარდაცვალების დღეცაა, ამიტომ ქალაქის მცხოვრებლებს ვარდებთან ერთად წიგნებიც აჩუქეს. ამ საქციელით ხელი შეუწყვეს წიგნის რეალიზებას. 1923 წელს კატალონიაში, წიგნის საერთაშორისო დღე აღინიშნა, რომლის შემდგომაც, ყოველი წლის 23 აპრილს მამაკაცები ქალბატონებს ვარდებს ჩუქნიდნენ, ხოლო ქალბატონები წიგნებს. ქალები ამ საქციელით მამაკაცებს და მთელ ესპანეთს ახსენებდნენ იმას, რომ წიგნს ამქვეყნად ვერაფერი შეცვლის.

აღნიშნა მთელმა მსოფლიომ, მათ შორის საქართველომაც. 21-ე საუკუნეში წიგნები კვლავაც დიდი პოპულარობით სარგებლობს, დღესდღეობით აქტიურია თანამედროვე რომანები, ფანტასტიკა, ასევე საბავშვო ლიტერატურა. მკითხველთა ძირითად ნაწილს კი მოზარდები წარმოადგენენ. ბიბლიოთეკებსა და წიგნის მაღაზიებში დაწესებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც ნებისმიერი ასაკის წიგნის მოყვარულს ხელს უწყობს მისთვის საინტერესო და სასურველი წიგნის შერჩევაში.

ბათუმში არსებული წიგნის მაღაზია „ბიბლუსის“ მენეჯერმა ქალბატონმა ნონა ლურსმანაშვილმა ყველაზე მოთხოვნად წიგნთა შორის დაასახელა რემარკის „სამი მეგობარი“ და „ტრიუმფალური თალი“. წიგნის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მოეწყო აქცია, რომლის თანახმად 30%-იანი ფასდაკლება აქვთ გარკვეულ წიგნებზე.

წიგნებისადმი მათივე დამოკიდებულებას გვიჩვენებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო სტუდენტებიც. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსების სპეციალობის სტუდენტი ელისო დუმბაძე ამბობს: „წიგნი ჩემთვის ანტიდეპრესანტია, ის რაც მამედიწიერებს, მზრდის და მათიქ-

წიგნი და მკითხველი

რებს. წიგნის კითხვით თვალსაწიერი გვიფართოვდება, მოკლედ წიგნი ყველაფერია...“ ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სტუდენტი ანა შერვაშიძე კი ამბობს: „წიგნი ადამიანის სულიერი და გონებრივი საზრდოა, ყოველი წიგნის ნაკითხვის შემდეგ სამყარო უკეთესი ხდება და ჩვენი მსოფლმხედველობაც უფრო ფართოვდება. წიგნებით უზრუნველყოფს როგორც ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა, ასევე ბათუმის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. ჩვენს ასაკში პირადი ბიბლიოთეკა უნდა გვექონდეს, მაგრამ წიგნები არც ისე იაფია და უმრავლესობას, მათ შორის მეც, მისი შექენა საშუალებად გვაქვს დაგვემილი“.

ჩვენი დროისთვის განსჯის საგნად იქცა თემა — „წიგნი თუ კომპიუტერი“. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ელექტრონულად არსებული ვერსიები ხელს შეუშლის წიგნის რეალიზებას, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ელექტრონული ვერსია ხელს არ უშლის წიგნის რეალიზებას, ის ყველასთვის ხელმისაწვდომია, მათ შორის იმათთვისაც, ვისაც არ აქვს წიგნის შექენის შესაძლებლობა. ამ მხრივ, საზოგადოება გაიყო ორ ნაწილად: პირველი — ის, ვინც წიგნის შექენას ანიჭებს უპირატესობას და მეორე — ის, ვინც ინტერნეტ ქსელების საშუალებით ეცნობა წიგნებს.



შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ყველასთვის ხელმისაწვდომია, სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ არა მარტო წიგნებით, არამედ ბიბლიოთეკაში და სადარბაზოებში არსებული კომპიუტერებით (ელექტრონული ვერსიებით). მერი ლომინაძე, რომელმაც დამთავრა სულხან საბა ორბელიანის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტი, უკვე 50 წელია შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარია. ქალბატონი მერი რამდენიმე წლის მანძილზე ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. როგორც თავად აღნიშნავს, უნივერსიტეტის ბიბ-

ლიოთეკის სამკითხველო დარბაზი არ უჩივის სტუდენტთა სიმცირეს: „ბიბლიოთეკით არამარტო სტუდენტები, არამედ ლექტორებიც აქტიურად სარგებლობენ. სტუდენტები უპირატესობას ანიჭებენ ნაბეჭდ წიგნებს, თუმცა ელექტრონული ვერსიებზეც საკმაოდ დიდია მოთხოვნა, რაც გამომწვეულია წიგნის უკმარისობით. ვერ ვიტყვი, რომ წიგნების ნაკლებობას განვიცდი, პირიქით საკმაო რაოდენობითაა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით არ არის განწერილი, ეს ნორმალურიცაა და გასაკვირი ამაში არაფერი. ცხადია, იმდენი წიგნი ვერ იქნება რამდენი სტუდენტიცაა. წიგნადი ფონდი ყოველწლიურად იზრდება და შესაბამისად, წიგნის რაოდენობაც მატულობს. კვირის ყოველი დღე ჩვენთვის სამუშაოა. ამრიგად, ნებისმიერ სტუდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია ბიბლიოთეკით სარგებლობა“, — ამბობს ქალბატონი მერი.

წიგნზე მოთხოვნა ყველა დროში იქნება და იგი პოპულარობას არასოდეს იარსებებს თუ არა წიგნის ელექტრონული ვერსიები ამას მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან ნებისმიერ შემთხვევაში წიგნი რეალიზდება, რადგან ის შეუცვლელია. საზოგადოებაში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საზღვარგარეთის ლიტერატურიდან დაინტერესებას იწვევს ერის მარია რემარკის „სამი მეგობარი“. რაც შეეხება ქართულ ლიტერატურას, გამოკითხვიდან გამომდინარე გამოიყო გამოჩენილი წიგნთა სამეული, ესენია: გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ და დათო ტურაშვილის „ტყეების მეფე“.

მანანა დეპაძე,
პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტი



„უნივერსიტეტი, სადაც კანცლერის თანამდებობაზეა 20-წლიანი გამოცდილება ჩემთვის, ყოველთვის ვიქნები მისი გულშემატკივარი, მიუხედავად იმისა, აქ ვიმუშავებ თუ არა“.

„ეს არის საკმაოდ რთული და საინტერესო პროფესია და გისურვებთ, რომ იქ, სადაც საზოგადოებას პრობლემა აქვს და მის გვერდით არავინაა, მათ გვერდით პირველები თქვენ ყოფილიყავით“

დრო მთლიანად დაუთმო ოჯახს. თუმცა, როდესაც მაღალი პასუხისმგებლობა გაკისრია, ეს დღეებიც ხშირად სამსახურს მიაქვს. განსაზღვრულია სამუშაო დღე, მაგრამ ჩემთვის სამუშაო დღეა ის, რომ ამ დროს აქტიურად გავცე პასუხები წერილებს, მივიღო თანამშრომლები თუ სტუდენტები. ამის შემდეგ იწყება უფრო შემოქმედებითი პერიოდი, როცა ვაანალიზებთ მიმდინარე დღის წარუმატებელ საქმეებს, ვგეგმავთ მომავალი დღის საქმეს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მიმდინარე წლის 2 იანვარს იყო დიდთოვლობა და როცა მოსახლეობა აღნიშნავდა საახალწლო

უმეტესად იძულებულნი ვართ, გამოვაცხადოთ ტენდერი და ასეთ დროს ხარისხი გვეკარგება (მოხდება თუ არა იმ პარამეტრების მოწყობილობათა მოწოდება). მინდა აღვნიშნო, რომ მრავალი ინიციატივა წამოვიდა ლექტორ-მასწავლებლებისგან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა პირადად ჩემი აზრი არ ყოფილა, მაგრამ შეიძლება ითქვას, ჩემი წვლილი იყო ის, რომ მაქსიმალურად გამოვყენებ რესურსს იმისათვის, რომ ეს მიმართულება გამართული ყოფილიყო და იმ თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღვეჭურვა, რასთან შეხებაც აუცილებელია ამ პროფესიის დაუფლებისთვის. როდესაც მთავრობის ვიზიტის დროს ეს ყველაფერი თვითურთაღიარებულად ნახეს, მათაც კი შუშურდათ. ამბობდნენ, ასეთი მოწყობილობები ჩვენც კი არ გვაქვსო. უწინააღმდეგობის კუთხით დაემატება სხვა მიმართულებებიც, სადაც უახლოეს მომავალში უკვე სრულყოფილი სივრცე და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გვაქვს.

ხვა სასწავლებლიდან თუ ორგანიზაციიდან, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ამ მიმართულებით და რომლებიც არ ცხოვრობენ ბათუმში.

— იგეგმება თუ არა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესყიდვა?

— სიმართლე გითხრათ, მე არ ვარ ამ დარგის სპეციალისტი, თუმცა ეს პირველი ეტაპი გვიჩვენებს თუ რა პოლუსი გვექნება, რისი შევსება იქნება საჭირო, ხოლო უნივერსიტეტის რესურსები მაქსიმალურად გადაერთვება იქეთ, რომ ეს პროგრამა მოიცავდეს პრაქტიკულ აუცილებლობას. დავალება გვაქვს გაცემული, რომ გავაუმჯობესოთ ბაზა დაახლოებით 30000 ლარის ღირებულების მატერიალურ-ტექნიკური, ტექნოლოგიური და ლაბორატორიული მოწყობილობების შეძენისთვის, წარმოადგინონ წინადადებები, და თუ ჩვენ გვეცოდინება ამ ეტაპზე რა პრობლემა გვაქვს, შესყიდვის დაფინანსებიდან ორი თვის ვადაში ჩვენ შევძლებთ უზრუნველყოთ ახლი ტექნოლოგიური ბაზის შემოტანა უნივერსიტეტში.

— რას გვისურვებთ, ჩვენ როგორც მომავალ კორესპონდენტებს?

— პირველ რიგში გისურვებთ ობიექტურობას, საინტერესო ინტერვიუებს საინტერესო რესპოდენტებთან, საზოგადოების მეტ ნდობას თქვენდამი. არ უნდა ესწრაფოდეთ მხოლოდ პრობლემის დაფიქსირებას, უნდა დაინახოთ პრობლემაც, წარმატებაც და დამერწმუნეთ, რომ იმ წარმატების დანახვა უფრო მეტი სტიმული იქნება თქვენთვის, ვიდრე წარუმატებლობის, თუმცა ესეც აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს. ეს არის საკმაოდ რთული და საინტერესო პროფესია და გისურვებთ, რომ იქ, სადაც საზოგადოებას პრობლემა აქვს და მის გვერდით არავინაა, მათ გვერდით პირველები თქვენ ყოფილიყავით.

— ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხვალ...

— გასულ წელს აღვნიშნეთ 80 წლის იუბილე. ჩვენ მრავალი პლუსი გვაქვს: წარმატებული აკადემიური პერსონალი, განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაცვლითი პროგრამები. გვსურს დისტანციური სწავლების მეთოდებიც დავანერგოთ და იყოს აქტიური ცოდნის დაუფლების გარემო. ჩვენს უნივერსიტეტში არ არის მხოლოდ სასწავლო პროცესი, აქ გვაქვს სამი კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც სჭირდება უფრო მეტი ხელშეწყობა, რათა უფრო კარგად წარმოჩინდნენ. უნივერსიტეტს ვუსურვებ, რომ 80 წლის იუბილე წარმატებულად გაემართლებინოს და გვერქვას არა რეგიონის უნივერსიტეტი, არამედ შავი ზღვის რეგიონის უნივერსიტეტი! ამის პრეტენზია ყოველთვის გვაქვს.

გასულ წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ამოქმედდა, გვაქვს ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რის შედეგადაც გარკვეული წვლილი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ბატონმა ჯემალ ანანიძემ შეიტანა. „უნივერსიტეტში, სადაც კანცლერის თანამდებობაზეა 20-წლიანი გამოცდილება მქონდა, ყოველთვის ვიქნები მისი გულშემატკივარი მიუხედავად იმისა, მე აქ ვიმუშავებ თუ არა“, — ამბობს ბატონი ჯემალი.

ზემოთ აღნიშნულ პრობლემებთან თუ სხვა დეტალებთან დაკავშირებით, რამდენიმე კითხვით სამუშაო კაბინეტში თავად ბატონ ჯემალს ვეწვინეთ. ინტერვიუს უძღვებიათ **მ.ი.ონა მასხარაძე** და **ნინო მ.ქიქია**, უნივერსიტეტის პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტები.

— ბატონო ჯემალ, როგორ გაიხსენებდით თქვენი სტუდენტობის წლებს?

— ჩემი სტუდენტობის წლები გამოირჩეოდა პოლიტიკურ-სოციალური ფონით. ბევრი რამ შეიცვალა საქართველოს ისტორიაში და შეძლება ითქვას, მსოფლიო ისტორიაშიც. სტუდენტი გავხდი 1985 წელს. ამ დროს ჩვენი ქვეყანა იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ანუ საბჭოთა კავშირის მოქალაქე ვიყავი. ჩემი სტუდენტობის დროს დატრიალდა 9 აპრილის ტრაგედია. ანუ იყო ეროვნული თვითგამორკვევის პერიოდი ცხოვრებაში და სტუდენტები ამ საქმიანობაში აქტიურად ვიყავით ჩართული. იყო როგორც საინტერესო, ისე უკიდურესად კრიზისული დღეებიც, როცა სამოქალაქო ომის ზღვარზე მი-

ვიდა ქვეყანა. სტუდენტობა დავამთავრე 1992 წელს. ამ დროს საქართველო უკვე დამოუკიდებელი ქვეყანა იყო და შეიძლება ითქვას, რომ სწავლა დავიწყებ ერთ ქვეყანაში და დავამთავრე მეორეში. საერთო ჯამში კარგი სტუდენტობა მქონდა, კარგი ჯგუფი ვიყავით, კარგი ლექტორებიც გვასწავლიდნენ. მე კი ყოველთვის პოზიტიურად მასწავლება ჩემი სტუდენტური წლები, რადგან მქონდა ცხოვრების ორი სტილი: პირველი — ლექციები, კურსები, ლექტორები და მეორე — საერთო საცხოვრებელი, სადაც დიდი მეგობრობა და ერთმანეთისადმი კარგი დამოკიდებულება იგრძნობოდა. მას შემდეგ გავიდა თითქმის 25 წელი და ეს ლამაზი სტუდენტური დღეები თან მომდევს. მერწმუნეთ, რომ სტუდენტური დღეები არის საუკეთესო დღეები ადამიანის ცხოვრებაში, უდარდელიცაა, უზრუნველცაა, შემოქმედიც ხარ და ფიქრობ, რომ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ყველაფერი იქნება, მაგრამ როცა ეს დღე დადგება, შენთვის იწყება კრიზისული დღეები, რადგან გაქვს კითხვები საკუთარ თავთან: აღარ ვარ სტუდენტი და ვინ ვარ?! ვარ ნამდვილი სპეციალისტი?! როცა სწავლა დავამთავრე, მასწავლებლად მუშაობა ინსტიტუტში დავიწყე, პარალელურად ვიყავი დოქტორანტი, ასპირანტურაშიც ვიყავი და აი ასე შემოვრჩი სასწავლო — სამეცნიერო და საჯარო სამსახურის სფეროს.

— როგორია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ბატონ ჯემალ ანანიძის ერთი ჩვეულებრივი დღე?

— საერთოდ, როცა მაღალ თანამდებობაზე ხარ, გიხდება პირადი ცხოვრების უკანა პლანზე გადატანა და დასვენების დღეებს ელოდები, რათა ეს

დღეებს, მაშინ ჩვენ მოგვინა ექსტრემალურ სიტუაციაში მუშაობა, გავწმინდეთ თოვლის საფარი (სახურავზეც კი ავედი). ამ დროს თანამშრომლები ჩვენს გვერდით იყვნენ და 4 იანვარს, როდესაც სამუშაო იწყებოდა, ჩვენს ადმინისტრაციულ თუ აკადემიურ პერსონალს დისკომფორტი არ შექმნიათ უნივერსიტეტში.

ჩვეულებრივ, ჩემი დღე იწყება სამუშაოს განაწილებით და მთავრდება მთლიანი დღის შეჯამებით. ჩვენ არ გვაქვს უფლება გავჩერდეთ, აქ არის კონკურენცია, ჩვენს ირგვლივ არის თაობა, მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და ჩვენ ვალდებული ვართ, სულ ახალი იდეებით ვიყოთ, ჩვენი თანამშრომლების იდეებსაც ავუბათ მხარი და გავანალიზოთ. ბუნებრივია, ამას უნივერსიტეტს ვერ დაამადლი, მაგრამ ეს არის ჩვენი ვალდებულება — სანამ ამ თანამდებობაზე ვარ, მაქსიმალურად ჩავერთო უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

— გასულ წელს ჩვენს უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ამოქმედდა. გვაქვს ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. რა ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ?

— როდესაც ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობის კონკურსში შევიტანე განაცხადი, მე იქ მკაფიოდ ჩამოვყალიბე ვადებიც, რომ ჩვენ 2018 წლისთვის მნდა გვქონოდა დასრულებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ჩვენ ყველა მიმართულებით ვთხოვთ დეპარტამენტებს, ფაკულტეტებს ახალი ინიციატივა, ახალი წამოწყება, რაც კი შეიძლება გააჩნდეთ, მაქსიმალურად მოგვანოდონ ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ. ჩვენ ხანდახან გვაფერხებს სახელმწიფო შესყიდვის კანონი. ამიტომაც,

ჩანართი

ინტერვიუ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან

„უნივერსიტეტმა მოგვალე შურნალისტების დახელოვნებისათვის ბევრი რამ შეიძინა“



„ხვალ გვეჩვენა ის უნივერსიტეტი, რომელიც ნაყოფიანი უმალესი სასწავლებელი იქნება შავი ჭრილისა და სხვა სხვა სახის აუზში“.

მისი სტუდენტობის წლები, სტუდენტისა და რექტორის ურთიერთობა, რექტორის ერთი ჩვეულებრივი, მაგრამ მრავალი ახალი ამბითა თუ მოვლენით დატვირთული დღე, — ის არასრულია ჩამონათვალა, რაზეც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი მერაბ ხალვაში გვესაუბრება. „მე მართებულად არ მიმაჩნია, რომ დღევანდელი თაობა ისეთივე უნდა იყოს, როგორც 20 წლის წინანდელი, ან ჩემი თაობა ყოფილიყო ისეთი, როგორც ჩვენი მამების თაობა იყო. ეს გამორიცხებულია, ეს ნიშნავს, რომ არ ვვითარდებით“, — გაგვიმხილა ბატონმა მერაბმა.

ინტერვიუს უძღვებან თქვენს მასწავლებელსა და ნინო მონაძის, ურნალისტიკის პროფესორის სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტები.

— ბატონო მერაბ, როგორ გაიხსენებთ თქვენი სტუდენტობის წლებს?

— ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახვდი 1991 წელს და 1996 წელს დავასრულე, მაშინ 5-წლიანი პროგრამა იყო. სტუდენტური წლები ყოველთვის ასოცირდება ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე უფრო საუკეთესო წლებთან, მაგრამ მაშინ ქვეყანაში იყო ძალიან რთული პოლიტიკური და სოციალური ფონი. ეს ის პერიოდი, როცა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. მოგვსახელებათ, 1991 წელს დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველო გახდა დამოუკიდებელი სუბიექტი თანამეგობრობისა. ბუნებრივია, ამას ახლდა სირთულეები და ჩვენ სწორედ ის თაობა ვიყავით, რომელმაც მას გაუძლეოთ. შეიძლება თქვენთვის სრულიად უცხო იყოს ის პრობლემები, რომლებიც მაშინ იყო. ელემენტარულად ეს იყო უშუქობა, უტრანს-

პორტობა, აქ საუბარი ზედმეტია ტექნოლოგიებზე, კომპიუტერზე, ინტერნეტზე. თუმცა ვიტყვი, რომ სტუდენტების მხრიდან იყო უფრო მაღალი მოტივაცია სწავლისადმი. იმას, რომ მე და ჩემი მეგობრები ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობდით, განსაკუთრებით ვაფასებდით, ეს ჩვენთვის პატივი იყო. მე ვერ გეტყვით, რომ განსაკუთრებული სტუდენტი ვიყავი, თუმცა ჩვენი კურსი იყო მთლიანობაში ძალიან მოტივირებული. დაახლოებით 15-16-მა სტუდენტმა სწავლა დაამთავრა წითელი დიპლომზე და საკმაოდ წარმატებულნი არიან სხვადასხვა სფეროში — როგორც მეცნიერებაში, ისე კულტურასა თუ პოლიტიკაში. ამდენად, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს ცხოვრებაში სტუდენტობის წლები, მიუხედავად მძიმე სოციალური პირობებისა, რა თქმა უნდა, მაინც საუკეთესოდ მახსენდება.

— თაობათა შორის მსგავსება-განსხვავება თქვენი დროის სტუდენტებსა და დღევანდელ სტუდენტებს შორის?

— იცით რა, განსხვავება ყოველთვისაა და ეს არც შეიძლება რომ არ იყოს, რადგან დრო იცვლება, დროს თავისი მოთხოვნები აქვს და შესაბამისად უნდა უპასუხო მას. მე მართებულად არ მიმაჩნია, რომ დღევანდელი თაობა ისეთივე უნდა იყოს, როგორც 20 წლის წინანდელი, ან ჩემი თაობა ყოფილიყო ისეთი, როგორც ჩვენი მამების თაობა იყო. ეს გამორიცხებულია, ეს ნიშნავს, რომ არ ვვითარდებით. ალბათ მუდმივად გვსმით ის, რომ ეს როგორი თაობაა, აი ჩვენს დროს სხვაგვარად იყო და ა.შ. რა თქმა უნდა, განმასხვავებელი ჩვენს თაობასა და თქვენს თაობას შორის არის. ერთი — რასაც აღვნიშნავ, შეიძლება არასწორ დასკვნასაც ვაკეთებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენი თაობის სტუდენტებში მოტივაცია სწავლის მიმართ იყო უფრო მაღალი. ჩვენ, უფრო ვიყავით

ორიენტირებული მიგველო განათლება. მიუხედავად რთული პირობებისა, ჩვენ ყოველთვის დაკავებული ვიყავით ამით და მე მახსენდება ბიბლიოთეკების დამოკიდებულება, როცა იყო უტრანსპორტობა, დიდი თოვლი, ძალიან მძიმე პერიოდი, ჩვენ მაინც ბიბლიოთეკაში ვისხედით და ბიბლიოთეკარს უკვირდა კიდევ. ეს განსხვავება არის, თუმცა ეს თაობა გაცილებით უფრო მომთხოვნი თაობაა და ძალიან კარგია. ვფიქრობ, რომ გაბედულებით არიან, მაგრამ უფრო კარგი იქნება, თუ მეტად მოტივირებულნი იქნებიან. დღევანდელ თაობას ვუსურვებ გამოიყენოს ყველა ის შესაძლებლობა, რაც არის დღეს და არ იყო ჩვენი თაობის სტუდენტობის დროს. დღეს არ შეიძლება თქმა, რომ ვერ მოვიპოვე ინფორმაცია ან რაღაც

ჩვენი თაობა პირველი გამოვევება და როგორც რექტორი, რას გვისურვებთ?

— ამას მცირე ისტორიულ შესავალსაც დავურთავ. წლების მანძილზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებდა ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა. ეს შედიოდა სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტში, დეკანი მე ვიყავი. გეტყვით იმასაც, რომ იგივე ჩემი დეკანობის პერიოდში ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა მიღვედა სპეციალობად გამოცხადდა და ვფიქრობ, ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ არ გვქონდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაზე დაყრდნობითაც უნდა განხორციელებულიყო ეს პროგრამა და ფაქტია, რომ ჟურნალისტიკის სფეროში, რომელიც მატერიალურ ტექნიკური ბაზის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. ეს უნდა იყოს პრაქტიკაზე აგებული და ასეც არის ნორმალურ ქვეყნებში, ნორმალურ უნივერსიტეტებში. თუ თქვენ პრაქტიკული უნარ-ჩვევები ვერ მიიღეთ, მხოლოდ თეორიით პროფესიონალი ჟურნალისტი ვერ გახდებით. ამიტომ ჩვენ ვთქვით ასეთი რამ — როცა უნივერსიტეტი მიაღწევს იმას, რომ შექმნის ამ ტექნიკურ ბაზას, აი შემდეგ უკვე დაფინანსებით ვიქნება ჟურნალისტიკის პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაზე. ვფიქრობ, ჩვენ სწორად ავირჩიეთ, რომ ჯერ დაფინანსება პროფესიული პროგრამით და თქვენ თვითონ ნახავთ, რომ აი ამ პროფესიული პროგრამის დონის შემდეგ შესაბამისი ბაზა უკვე უნივერსიტეტში არსებობს და ჩვენ უკვე ვამზადებთ საბაკალავრო პროგრამას, რომელზეც რეგიონში ძალიან დიდი მოთხოვნაა. როცა გვხვდებით აბიტურიენტებს, ძალიან ბევრი სვამს კითხვას იმის შესახებ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში რატომ არ მოქმედებს ჟურნალისტიკის პროგრამა?! ვფიქრობ, რომ ახალი აპლიკაციისათვის ჩვენ გვექნება ეს პროგრამა, რადგან ჩვენ დღეს გვაქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე იცით თქვენ რომ გარდა იმ აღჭურვილობისა, რომელიც პროფესიულ პროგრამას ახლავს, უნივერსიტეტმა მომავალი ჟურნალისტების დახელოვნებისათვის ბევრი რამ შეიძინა.

— ბატონო მერაბ, თანამედროვე გაგებით როგორი უნდა იყოს სტუდენტისა და რექტორის ურთიერთობა?

— სტუდენტისა და რექტორის ურთიერთობა უნდა იყოს ძალიან ზომიერი. მე პირადად გეტყვით, რომ სასტიკად წინააღმდეგი ვარ იმის, რომ სტუდენტებსა და პროფესორს შორის იყოს სერიოზული უფსკრული. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, დღესაც იჩენს თავს მსგავსი დამოკიდებულებები, რადგან ბოლოს ჩატარებულმა სტუდენტთა გამოკითხვამ ეს გვიჩვენა. ეს უნდა იყოს აკადემიურ, ცივილურ ურთიერთობის ტიპის ცივილური დამოკიდებულება, მაგრამ არც იმას ვფიქრობ, რომ სტუდენტნი და პროფესორი ერთმანეთთან იმდენად უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული, რომ ეს ზღვარი პროფესორსა და სტუდენტს შორის დაირღვეს. სტუდენტი არ შეიძლება იყოს „ძმა“ პროფესორის(იცინის). სხვათაშორის ფუნქციონირებს არის ძალიან წარმატებული განათლების მხრივ, პროფესორს შრომითი ხელშეკრულება, ერთ-ერთი მიზეზით იმიტომაც შეიძლება შეუნყდეს, რომ მას სტუდენტებთან ძალიან ცუდი ან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდეს. ეს უნდა იყოს ზომიერებაზე დამყარებული. როცა პროფესორი უნივერსიტეტშია, ის უნდა იყოს პროფესორი, როცა სტუდენტია, ის უნდა იყოს სტუდენტი. რა თქმა უნდა, ყველა თავის პასუხისმგებლობას უნდა აცნობიერებდეს.

— ბატონო მერაბ, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის სპეციალობა წლების მანძილზე არ ფუნქციონირებდა. გასულ წელს ექვსთვიანი საგანმანათლებლო პროგრამა ამოქმედდა, სწორედ

წარმოიგდინეთ, სადაც 6000 სტუდენტი სწავლობს დაახლოებით მთლიანობაში მოწვეული პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, დაახლოებით 1000-მდე თანამშრომელია და ყოველთვის ვცდილობთ, რომ უნივერსიტეტი იყოს ყველა იმ ღონისძიების, ყველა იმ აქტიურობის ეპიცენტრში, რომელიც ჩვენს რეგიონში და ჩვენს ქვეყანაში ხდება. ასე ვთქვათ, აქ სიცოცხლე დღეს. აქედან გამომდინარე, საკმაოდ დაძაბული გრაფიკა მითუფრო ჩვენს საზოგადოებაში დღემდე არის გაცდა, რომ ყველა საკითხი უნდა გადაწყვიტოს რექტორმა, რომ ყველა საკითხთან დაკავშირებით უნდა მიმართო რექტორს. ამიტომ მე ყველანაირად ვცდილობ, რომ მართვის ეს ფორმა შეიცვალოს. შესაბამისად, რეჟიმი ძალიან რთულია, დილა იწყება იმით, რომ ვეცნობით ძირითად ინფორმაციებს, ვგეგმავთ თუ რა უნდა განხორციელდეს და მთელი დღის მანძილზე ვცდილობთ განსაზღვრულ გეგმას მივყავით, თუმცა არის მოულოდნელი სიურპრიზებიც, რომელსაც არ ელოდები, მაგრამ როცა გუნდი გყავს ისეთი, რომელიც მოტივირებულია უნივერსიტეტის განვითარებისათვის და თუ თითოეულ დღეს ამ გათვლით ვაკეთებ, დღის ბოლოს მაინც კმაყოფილების გრძნობა გიჩნდება

— რას უსურვებთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს?

— ვუსურვებ, რომ უფრო მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათ ფუნქციებსა და მოვალეობებს. ეს ეხება პროფესორებსა და სტუდენტებსაც. მაინც ვფიქრობ, რომ ყველაზე უფრო დიდი პრობლემაა, აკადემიური პასუხისმგებლობის პრობლემა. მინდა რომ ჩემს კოლეგებს და სტუდენტებს მოვუწოდო მეტი პასუხისმგებლობით შეასრულონ მათი მოვალეობები. პროფესორს ეს ეხება სწავლებასთან მიმართებაში, ხოლო სტუდენტებს სწავლასთან მიმართებაში.

— ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი ხვალ...

— ბათუმის უნივერსიტეტს აქვს 80-წლიანი გამოცდილება, როგორც უმაღლეს დაწესებულებას და როგორც სასწავლო დაწესებულებას. იგი მე-20 საუკუნის დასაწყისში გაიხსნა. ეს უნივერსიტეტი ათწლეულების მანძილზე ასრულებდა იმ მისიას, რომელიც მას ჰქონდა დაკისრებული. დროისა თუ ეპოქის გამოწვევებს პარალელურად პასუხობდა. დღეს ჩვენ ვართ აბსოლუტურად სხვა ეტაპზე და ამიტომ ვალდებული ვართ ვუპასუხოთ თანამედროვეობის მოთხოვნებს. ჩვენ საამისო პირობებში უნდა შევქმნათ უნივერსიტეტი, როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ასევე აკადემიური თვალსაზრისით, სამეცნიერო კვლევების მხრივ. თუ ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს იმისათვის რომ შევქმნათ მყარი საფუძვლები, მე ვფიქრობ, ხვალ გვექნება ის უნივერსიტეტი, რომელიც ნამყარი უმაღლესი სასწავლებელი იქნება შავი ჭრილისა და სხვა სხვა სახის აუზში.



ჩხარტი

პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტები — ელენა ჯინჭარაძე და თამილა დიასამიძე იმ პირებით დაინტერესდნენ, რომლებიც მათ მიერ არჩეულ სპეციალობაში რიგით პირველი მანდილოსნები არიან. ნათია ლაბაძე მომავალი კაპიტანია, ხოლო მარიამ ჯაიანი კი — პილოტი.

„მინდა, ჩემს სამშობლოს ვემსახურო“

ფაქტია, რომ 21-ე საუკუნეში ძნელია ადამიანი რაიმეთი გააკვიროვ, თუმცა იმ აზრზე, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები ავიაციაში ქართული რეალობისთვის მაინც უცხოა, ყველანი ვთანხმდებით. საბედნიეროდ, საქართველოს სამხედრო ავიაციას ჰყავს საკმაოდ წარმატებული ქალი მფრინავი (ეკატერინე ქელიძე), მაგრამ სამოქალაქო ავიაციაში ამ დრომდე არ გვყოლია ქალი პილოტი. 19 წლის ბათუმელი, მარიამ ჯაიანი გვესაუბრება დღეს თავისი მომავალი პროფესიის შესახებ.



— მარიამ, რატომ აირჩიე ეს პროფესია?

— საერთოდ, ვფიქრობ, რომ ადამიანდმა ის უნდა აკეთოს, რაც სიამოვნებას ანიჭებს და უყვარს. რაც შეეხება პროფესიის არჩევას, ვთვლი, რომ ამ პროფესიისთვის ვარ დაბადებული და სხვა საქმე უბრალოდ არ გამომივივ.

— როდის მიხვდი რომ ეს უბრალოდ ბავშვური აკვირება არ იყო?

— რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ეს არ არის ჩემი ვაბშობის ოცნება. სულ რაღაც აბიტურიენტობის პერიოდში მიხვდი, რომ ეს ის სფერო იყო, სადაც ყველაზე უკეთ ვიგრძნობდი თავს.

— საკმაოდ სახიფათო პროფესიაა, მშობლები როგორ შეხვდნენ შენს ამ გადაწყვეტილებას?

— გეთანხები, ძალიან სახიფათო და სარისკოა, შესაბამისად, პირველი რასაც მეკითხებოდნენ იყო ის, რომ ხომ არ მეშინოდა, რაზეც ყოველთვის ვპასუხობ, რომ არასოდეს

არაფრის არ მეშინია. რაც შეეხება ოჯახის წევრებს, ისინი დიდი გაცხებით შეხვდნენ. თავიდან სკეპტიკურად უყურებდნენ ჩემს არჩევანს და მარწმუნებდნენ რომ მომბეზრდებოდა, ვერ შევძლებდი, მივატოვებდი. როგორც საზოგადოების უმრავლესობას, მათაც მიაჩნდათ, რომ რისკებიდან გამომდინარე, მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ ამ სფეროში მოღვაწეობა. მოკლედ, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ბოლოს მიხვდნენ, რომ მე ამაზე უარს ვერ ვიტყვი და დღეს ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მიზანს თანდათან ვუახლოვდები.

— ექსტრემის მოყვარული ხარ?

— კი, მიყვარს როცა განვიცდი და ვგრძნობ ჩემს ძალასა და ენერჯიას ექსტრემალურ სიტუაციებში.

— ოჯახის რომელიმე წევრი ხომ არ მოღვაწეობს ამ სფეროში?

— არა, არავინ მოღვაწეობს ამ სფეროში. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაა.

— ფიქრობ, რომ სხვა გოგონებისგან განსხვავდები?

— კი, ვთვლი, რომ განსხვავებული ვარ. გოგონების უმრავლესობას პირადი ცხოვრების გამო შეუძლიათ პროფესიასა და კარიერაზე უარის თქმა და ეს საკვებით გასაგებია, თუმცა მე პირიქით ვფიქრობ. შეიძლება ეს ძალიან ცუდია და ბევრი ასევე მიიჩნევს, მაგრამ მე არა. მე ყველაფერზე შემოიღია უარის თქმა, გარდა ჩემი პროფესიისა. ამის მისაღწევად ბევრი ვინვალე და არასოდეს დავთმობ. მის გარეშე ასე რომ ვთქვა მე „მე“, არ ვიქნები, რადგან ჩვენ ყველა დედამიწის ნაწილები ვართ და ყველამ ჩვენი საქმე თუ არ ვაკეთებ, ყველაფერი „აირევა“. ყველას და ყველაფერს ცხოვრებაში თავისი ფუნქცია და ვალდებულება გააჩნია.

— სად ხედავ შენს თავს მომავალში, სამოქალაქო თუ სამხედრო ავიაციაში?

— მთელი გულით მინდოდა საქართველოს სამხედრო ავიაციაში მსახურება, თუმცა ამ მხრივ არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა გვაქვს. იქედან გამომდინარე, რომ მინდა ჩემს სამშობლოს ვემსახურო, სამოქალაქო ავიაცია ავირჩიე.

— პროგრამა მაქსიმუმი რა არის შენი?

— მინდა რომ საერთაშორისო დონის პილოტი გავხდე.

— დარწმუნებული ხარ, რომ შენს სურვილსა და შესაძლებლობას აუცილებლად ექნება გადაკვეთის წერტილი, სხვა ალტერნატივას არ უშვებ?

— ჯერ პროფესიის დაუფლების პროცესში ვარ და ყველაფერს გადაკეთებ იმისთვის, რომ ჩემი შესაძლებლობები შეესაბამებოდეს სურვილს.

ელენა ჯინჭარაძე, პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტი

„ბონებით გაცილებით მეტის გაკეთებაა შესაძლებელი“

ბათუმელი ნათია ლაბაძე პირველი მეზღვაური ქალია. მეზღვაურის ოჯახში აღზრდილ გოგონას, ამ პროფესიისადმი ინტერესი ბავშვობიდან ჰქონდა. მას ამჟამად გემზე კაპიტნის მესამე თანაშემწის პოსტი უჭირავს. ამბობს, რომ გემის კაპიტანი აუცილებლად გახდება.



ულ ნაოსნობაშიც იმყოფებოდი...

— პირველად კონტრაქტი გავაფორმე გერმანულ კომპანია — „კონტინენტშიდი“-სთან და სხვადასხვა პორტში 7000 კონტინერი გადააქვს, რომელიც პანამის დროშის ქვეშ დაცურავდა. 8 თვით ვიყავი და ახლახან ჩამოვედი.

— როგორც სუსტი სქესის წარმომადგენელი, რაიმე პრიორიტეტებით ხომ არ სარგებლობ და როგორია თანამშრომლების დამოკიდებულება შენდამი?

— სქესს არავინ არ აქცევს ყურადღებას და არც პრიორიტეტებით ვსარგებლობ. ყველანი მენმარებიან, მასწავლიან, გამოცდილებას მიზიარებენ.

— რა თანამდებობაზე ხარ ამჟამად?

— მეზღვაურთა ოჯახში გავიზარდე. მამა, ბაბუა და ბიძაშვილები მეზღვაურები არიან. სწორედ ისინი გახდნენ სტიმული პროფესიის არჩევის დროს.

— ახლობლებმა როგორ მიიღეს შენი არჩევანი?

— ერთ დღესაც გამოვაცხადე მეზღვაურობა მინდა-მეთქი. დედას გაცხებისგან თვალები გუფართოვდა, მამამ კი — მხარი დამიჭირა. სხვები ფიქრობდნენ, რომ ეს უბრალოდ აკვირებულნი იყვნენ, თუმცა ოჯახის მხარდაჭერით ჩემი იდეის განხორციელება შეეძლო.

— რა წინააღმდეგობას წააწყდი სქესის გამო?

— დღესაც მესმის, რომ გემნაყვანობა არ არის ქალის საქმე, მაგრამ ყველაფერს ფიზიკური ძალა არ სჭირდება, გონებით გაცილებით მეტის გაკეთებაა შესაძლებელი.

ეს პროფესია კაცისთვისაც რთულია, მაგრამ თუ ზღვა გიყვარს და შენი სამსახური სიამოვნებას განიჭებს, ყველაფერი იოლდება.

— რამდენადაც ვიცი, შორე-

— არ გიჭირებთ ამდენი ხნით ოჯახთან განშორება?

— არა, არ მიჭირს. ჰოროსკოპით ღრინაკალი ვარ, რაც წყლის ნიშანია, ალბათ, ამიტომაც არ მიჭირს ზღვაში ყოფნა.

— ...და მაინც ვკითხავ, შენ გარდა ეკიპაჟის წევრი სხვა მანდილოსანიც თუ იყო ვინმე?

— არა, მხოლოდ მე ვიყავი და მე ვიქნები პირველი კაპიტანი ქალი, რომელიც საქართველოს საზღვაო ისტორიაში ჩაინერება.

— სამომავლოდ.

— ისევ ზღვაში წავალ. ახლა 4 თვით მივდივარ ჯუნიორად, როგორც კაპიტნის მესამე თანაშემწე.

თამილა დიასამიძე, პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტი

გთავაზობთ პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა „კორესპონდენტის“ სტუდენტ გიორგი ლელაძის მიერ გადაღებულ ფოტოებს. გიორგი ამჟამად სამშენებლო კომპანია „ანაგის“ მიერ გამოცხადებულ ფოტოკონკურსში მონაწილეობს (ნომინაცია: „ქალაქი და ადამიანები“). ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თანაჯგუფელების სახელით, გიორგი ლელაძეს წარმატებებს ვუსურვებთ.



სახელოვანი მეცნიერი და მოღვაწე (ივანე ჯავახიშვილი - 140)

XX საუკუნის დასაწყისში, დიდი ილიას მუხანათურად მკვლევლობის შემდეგ დაობლებულ ქართველ ერს, რომელსაც მართალია, არ აკლდა საქვეყნოდ ცნობილი მწერლები და პოეტები, ქველმოქმედი შეძლებული ადამიანები, მაგრამ მას სჭირდებოდა ილიასავით ღრმად მოაზროვნე, ფართო და მრავალმხრივ განსწავლული, სამშობლო ქვეყნის ინტერესების უკომპრომისო დამცველი პიროვნება, და უფალმა მოუწვლინა მას იგი - ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის სახით.

ივ. ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 (23) აპრილს, თბილისში ალექსანდრე ჯავახიშვილისა და სოფიო ჯავახიშვილის არისტოკრატიულ, ქართული კულტურისა და მეცნიერებისადმი დიდი პატივისცემით განწყობილ ოჯახში. 1888 წელს ჩაირიცხა თბილისის გიმნაზიის მეორე კლასში და 1895 წლამდე სწავლობდა. აქვე გამოავლინა მან განსაკუთრებული ინტერესი ისტორიისადმი, აუდიტორიის წინაშე წაიკითხა მოხსენება „ანდრია მოციქულის მოგზაურობა საქართველოში“. ამავე ხანებში, ზაფხულობით, მშობლიურ სოფელ ხოვლეში, თანატოლებთან ერთად ატარებდა ხოვლეგორის არქეოლოგიურ გათხრებს. 1895 წლის აგვისტოში, გიმნაზიის დასრულების შემდეგ, გაემგზავრა პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად და ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე საქართველოსა და სომხეთის ისტორიების სპეციალობით. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები: ნ. მარი, ალ. ცაგარელი, ვ. უუკოვსკი, ნ. ვესელოვსკი, ს. პლატონოვი, ვ. როზენი და სხვები. აქ დაეუფლა სრულყოფილად სომხურ, ლათინურ, ბერძნულ და სპარსულ ენებს, კარგად იცოდა რუსული და ევროპული ენები, რაც მას სერიოზული მეცნიერული კვლევის საშუალებას აძლევდა. 1899 წელს დაიბეჭდა მისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი „ბალავარის სიბრძნე“ (თარგმანი), ხოლო 1898 წელს საკონკურსო ნაშრომის სახით წარადგინა „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“, რომელიც პროფესორთა საბჭომ ოქროს მედლით დააჯილდოვა.

1899 წელს, ნ. მარის მოთხოვნით და სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით, ი. ჯავახიშვილი ორი წლით საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვეს პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1900 წელს ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები, ხოლო 1907 წელს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე „ძველი სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფო წყობილება“. მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, იგი მიავლინეს გერმანიაში. იქ ყოფნისას თარგმნა გერმანულად და გამოსცა VI საუკუნის ანონიმი ავტორის „ფესტათე მეცხეთელის მარტილობა“ და ოიანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტილობა“ (VIII ს.). 1902 წლის აპრილიდან სექტემბრამდე მაგისტრანტი ივ. ჯავახიშვილი ნიკო მართან ერთად მიავლინეს სინას მთაზე ქართული ხელნაწერების მოძიებისა და შესწავლის მიზნით. მის მიერ აქ შედგენილი ხელნაწერების აღწერილობა გამოქვეყნდა 1947 წელს, ავტორის გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ.

საპროფესოროდ მოსამზადებელი ვადის დასრულების შემდეგ, იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტია და კითხულობს ლექციებს საქართველოსა


და სომხეთის ისტორიის საკითხებზე, ინტენსიური ურთიერთობა აქვს საქართველოში მოღვაწე მკვლევარებთან, განსაკუთრებით ექვთიმე თაყაიშვილთან და მისი ფიქრის და ზრუნვის საგანია მშობლიური ქვეყანა, მისი მომავალი, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება სრულიად ახალ რეალობაში.

1917 წლამდე ი. ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში მუშაობდა და ამ ხნის მანძილზე 40 სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა: ორი-გერმანულ ენაზე, ოცდაორი-რუსულ ენაზე და თექვსმეტი-ქართულ ენაზე. ყველა კაპიტალური შრომა - „ქართველი ერის ისტორია“ (პირველი ორი წიგნი), „ქართული სამართლის ისტორია“ (პირველი ნაწილი), სერიიდან „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლაც“: ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ (პირველი წიგნი), საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ (პირველი წიგნი) და სხვა გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე, რაც განაცხადი იყო იმის, რომ საფუძველი ეყრებოდა ახალ ქართულ ეროვნულ მეცნიერებას და მისი ცენტრი აუცილებლად საქართველოში, თბილისში უნდა ყოფილიყო; დიდი ხნის წინ დაწყებულ მოსამზადებელ მუშაობას ქართული უმაღლესი სასწავლებლის შესაქმნელად, აქ პეტერბურგში ეყრებოდა საფუძველი ივ. ჯავახიშვილის მეთაურო-

ბით (იგულისხმება: 1907 წ. ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის შექმნა, სამეცნიერო კრებულის შედგენა, ე.წ. „ანკეტის“ შედგენა და ევროპის მასშტაბით ქართველ სტუდენტთა და სწავლულთა რაოდენობისა და მათი სპეციალობების დადგენა, გაცილებით ადრე, ი. ჭავჭავაძის თაოსნობით, უნივერსიტეტისთვის შენობის (გიმნაზიის) მშენებლობის დაწყება, ი. ჯავახიშვილის ნაშრომთა შექმნა-გამოქვეყნება...).

ასე რომ დიდი სიძნელეების დაძლევისა და ორგანიზაციული საკითხების მოგვარების შემდეგ, 1918 წლის 26 იანვარს (8 თებერვალს) გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი, რომლის რექტორად ივ. ჯავახიშვილისავე მოთხოვნით ცნობილი ქიმიკოსი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი პეტრე მელიქიძევილი აირჩიეს, ხოლო ი. ჯავახიშვილი იმ დროს უნივერსიტეტის ერთადერთი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი გახდა.

ამერიიდან კიდევ უფრო ფართო ასპარეზი ეძლევა ი. ჯავახიშვილის საზოგადოებრივ და მეცნიერულ მოღვაწეობას: 1919 წლის დეკემბრიდან 1926 წლამდე იყო უნივერსიტეტის რექტორი, ამავე 1919-1925 წლებში იგი ხელმძღვანელობდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, დაარსა უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრა და თვითონვე იყო პირველი გამგე. იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტი და განყოფილების გამგე, ყველა მნიშვნელოვანი მეცნიერული თუ კულტურული ღონისძიების ინიციატორი და ხელმძღვანელი: კერძოდ, 1937 წელს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის საიუბილეო ღონისძიების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის მუზეუმის დირექტორი, საქართველოში ფართოდ გაშლილი (დმანისი, გეგუთი, მცხეთა-არმაზი) არქეოლოგიური გათხრების ინიციატორი და ხელმძღვანელი. პარალელურად კითხულობდა ლექციების კურსს საქართველოს ისტორიაში, ქართული სამართლის ისტორიაში, საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში, დამხმარე ისტორიულ დისციპლინებში და სხვა. იგი იყო



ქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა საისტორიო წყაროების კრიტიკული შეფასებით უნდა დაწყებულიყო, რადგან „ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითმემყენება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“. მისი აზრით, გაზვიადებულ ადვოკატური ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძნობდეს, ვინც წარსულში ექებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით სურს თავისი ეროვნული მელახული გრძნობა დაიკმაყოფილოს და დაამშვიდოს. ხოლო ამგვარი სურვილი აზრდადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ფიქრობს“. ამიტომ იყო, რომ მან სამეცნიერო მოღვაწეობა საისტორიო წყაროების კრიტიკული შესწავლით დაიწყო, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართული ისტორიული მეცნიერების მრავალ დამხმარე თუ სპეციალურ დარგს: წყაროთმცოდნეობა-დიპლომატიკას, ნუმიზმატიკა-მეტროლოგიას, პალეოგრაფიას და სხვა. თუ მისი წინამორბედი ისტორიკოსები საქართველოს ისტორიას „ქართლის ცხოვრების“ სქემით ადგენდნენ, მან არსებითად გააფართოვა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. მასში ჩართო ქართული ლიტერატურის ავთოგრაფიული ძეგლები, დოკუმენტური, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, არქეოლოგიური მონაცემები, უცხოური წყაროები ისე, რომ ძველ სქემას კი არ მოარგო, არამედ „ქართლის ცხოვრების“ მონაცემთა გადასამოწმებლად, კრიტიკისათვის გამოიყენა. ამ მოთხოვნებითა და პრინციპებითაა შედგენილი მისი „ქართველი ერის ისტორიის“ I, II, III ტომები, IV ტომის I ნაწილი (XV-XVI სს.) და XVII-XVIII საუკუნეების ისტორია, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. მას მიაჩნდა, რომ მკვლევარმა ისტორიული თხზულების შესწავლა-ანალიზისას უნდა გაითვალისწინოს მისი ავტორის არა მარტო მოვლენების თანადროულობა, არამედ მისი განათლება, აზროვნების დონე, მედასეობა და მისი საქმიანობა-მოღვაწეობის გარემო, რაც კი თავის კვალს დაამჩნევდა თხზულებაში.

ი. ჯავახიშვილმა ასევე დიდი ენერჯია და დრო მოახმარა საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესწავლას. მართალია, ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართული ხალხის გადარჩენის საფუძველს ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან


წლებში ილია ჭავჭავაძე მის ეკონომიკურ წყობაში ხედავდა, მაგრამ მისი გენეზისის და არსის გარკვევა ი. ჯავახიშვილს მოუწია. 1907 წელს გამოვიდა მისი საქართველოს ეკონომიური ისტორიის პირველი წიგნი, ხოლო 1930 და 1934 წლებში გამოვიდა ხელახლა დამუშავებული საქართველოს ეკონომიური ისტორიის პირველი და მეორე ტომები. მათში მეცნიერულადაა დასაბუთებული ქართველი ხალხის მდიდარი სამეურნეო კულტურა, ათობით ენდემური ჯიშის ხორბლისა თუ ვენახის არსებობა, მათი გამოყენება-დამუშავების მაღალი ტექნოლოგიები.

ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის მშვენიერა „ქართული სამართლის ისტორიის“ სამი წიგნი, რომელშიც თვალსაჩინოადაა წარმოდგენილი ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის სამართლებრივი გამოცდილება, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვრები უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, ქართული სახელმწიფოს სამართლებლო აპარატი, ხელმწიფის კარი-სა და პროვინციების (ვაზირების, ერისთავების) გამგებელთა ფუნქცია-მოვალეობანი, სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულების საკითხი და ფეოდალური სახელმწიფოსა და სამართლის მრავალი სხვა პრობლემა.

შეუძლებელია მოკლე საიუბილეო წერილში, თუნდაც სქემატურად, ისაუბრო ყველაფერ იმის შესახებ, რისი გაკეთებაც შეძლო ივანე ჯავახიშვილმა ჩვენი ქვეყნის ისტორიის იმ მიმე წლებში, როცა ასეთი დიდი მოღვაწეც არ იყო დაცული დიდი დასამუშავებელი თვალთვალისაგან, დაუმსახურებელი იარაღებისგან.

75 წელზე მეტი გავიდა დიდი ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან. ამ ხნის მანძილზე, როგორც მისი სახელოვანი მოწაფე ნიკო ბერიძენიშვილი წინასწარმეტყველებდა, ი. ჯავახიშვილის „ნამუშაკვის საფუძველზე თანდათან ახალი მეცნიერული ნაგებობანი გაჩნდა, ქართულმა ისტორიოგრაფიამ განვითარების ახალ საფეხურებს მიაღწია, მაგრამ სამუდამოდ დარჩება ეტაპი, ივ. ჯავახიშვილმა რომ შექმნა ქართულ ისტორიულ აზროვნებაში, დარჩება და იარსებებს ისევე, როგორც არსებობს ქართული ისტორიული აზროვნების ეტაპები-ჟამთააღმწერლის, დიდი ვახუშტის... და ეს ეტაპი იქნება ქართული ისტორიოგრაფიაში კრიტიკული მეთოდის დანერგვის ეტაპი - ივ. ჯავახიშვილისა.

გიჟიკო ღიასამიძე,
ემერიტუსი პროფესორი




ივანე ჯავახიშვილი ვაჟიშვილებსა (ლალი და კახა ჯავახიშვილები) და მეუღლესთან (ანასტასია ორბელიანი) ერთად



სახელმძღვანელო ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

გამოსათხოვარი



აქლახან გამოიცა ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ მომზადებული წიგნი „აჭარა. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“ („ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ გამომცემლობა, ბათუმი, 2016). წიგნი დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „სამშობლოში“. ტირაჟი 200 ეგზემპლარი, 404 გვერდი). წიგნის ანოტაციასა და შესავალში ვკითხულობთ, რომ იგი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მასში გაშუქებულია აჭარის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რე-

სურსები უძველესი დროიდან დღემდე. წიგნი შედგება 10 თავისა და სამი დანართისაგან. პირველ თავში დახასიათებულია აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო (რელიეფი, კლიმატი, გეოლოგია და სასარგებლო წიაღისეული, ფლორა და ფაუნა, ჰიდროგრაფიული რეჟიმი, რეკრეაციული რესურსები); მეორე თავში გაშუქებულია აჭარის უძველესი ისტორია 2010 წლამდე. მესამე თავში განხილულია აჭარის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, მეოთხეში—აჭარის მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური სტრუქტურა, დემოგრაფიულ-მიგრაციული პროცესები. მეხუთე თავი ეძღვნება მეურნეობის ტრადიციული დარგებისა და სამეურნეო ყოფის დახასიათებას (მინათმოქმედება-მეშენიძვერობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, მონადირეობა, ხელოსნობა და შინამრეწველობა). ტრადიციული მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხებია გაშუქებული მეექვსე-მეშვიდე თავებში. მომდევნო ორ თავში განხილულია აჭარის ფოლკლორის, განათლების, კულტურის, მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების საკითხები. ბოლო მეათე თავში დახასიათებულია აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხები. ცალ-ცალკეა განხილული ქალაქ ბათუმის, ხულოს, შუაქვიცი, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის მუნიციპალიტეტების ისტორიის საკითხები. დანართებში აღწერილია პეტრა-ციხისძირი, გონიოს ციხის კომპლექსი, სხალთის ეპარქია.

წველა თავს ერთვის სარეკომენდაციო ლიტერატურის სია, ილუსტრაციები ფოტო-ჩანახატების, ცხრილებისა და რუკების სახით, აგრეთვე კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის. წიგნი „აჭარა“. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მასალები“, რომელიც ოთხსა გვერდზე მეტს აღწევს, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა გულმოდგინე, ნაყოფიერი და პასუხისმგებლობით შესრულებული ნაშრომია. მასზე მუშაობა ორი წლის მანძილზე (2011-2012) გრძელდებოდა და მისი ცალკეული ნაწილები წლიური ნაშრომების სახით სრულდებოდა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმით. წიგნის გამოცემა იმით იყო განპირობებული, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს დღემდე ასეთი სახელმძღვანელო, რომელშიც თავმოყრილი სა-

ხითაა წარმოდგენილი აჭარის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მასალები არ გააჩნდა. ამიერიდან ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება ექვსეათ სახელმძღვანელოში უშუალოდ გაეცნონ აჭარის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობით მასალებს. ამავე დროს წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს აჭარის ტურიზმით დაინტერესებულ ფართო მკითხველს, ექსკურსია-მძღოლებს, რომლებიც აჭარის ტურიზმის სამსახურში დგანან და მოწოდებულნი არიან აჭარაში სტუმრად ჩამოსულ ტურისტ-დამსვენებელს გააცნონ აჭარის წარსული და თანამედროვეობა და ამით დაამახსოვრონ მათ აქ გატარებული დღეები. წიგნი „აჭარა. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“ აჭარის მაგალითზე ამ ხასიათის პირველი სახელმძღვანელოა და იგი გაამართლებს თავის დანიშნულებას. მისი რედაქტორები არიან ბიჭიკო დიასამიძე, შუშანა ფუტკარაძე, ნოდარ კახიძე, რეცენზენტები—პროფესორი ამირან კახიძე, მეცნიერების დოქტორები როსტომ ბერიძე, ემენ დავითაძე. მის გამოცემაზე იზრუნა უნივერსიტეტის ტურიზმის დეპარტამენტმა (დეკანი როსტომ ბერიძე). სახელმძღვანელო გამოიცა უნივერსიტეტის დაფინანსებით.




ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი გამოთქვამს ღრმა გულსტკივილს ფიზიკის დეპარტამენტის ღვაწლმოსილი პედაგოგის ბატონი იოსებ აბაშიძის გარდაცვალების გამო. იოსებ მურთაზის ძე აბაშიძე დაიბადა 1932 წლის 15 აპრილს. 1951 წელს დაამთავრა ხიხაძის საშუალო სკოლა. 1955 წელს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი მათემატიკის სპეციალობით. 1970 წლიდან მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტში ფიზიკის კათედრაზე, ჯერ სასწავლო სახელოსნოს გამგედ, შემდეგ მასწავლებლად, ხოლო 1975 წლიდან უფროს მასწავლებლად. 1977 წელს გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები კალინინის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1983 და 1988 წლებში კი კიევის ა.მ.გორკის სახელმწიფო სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1993 წელს თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მოიპოვა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1995-2005 წლებში მუშაობდა ფიზიკის დეპარტამენტში დოცენტის თანამდებობაზე. ი.აბაშიძე არის რამდენიმე მეთოდური და სამეცნიერო შრომის ავტორი. მისი შრომები ეძღვნება ფიზიკის სწავლების მეთოდებს, სინათლის მრავალჯერადი განხვევის გამოკვლევებს და სხვა. მის მიერ გამოცემული იქნა ცნობარი „სიდიდეთა საზომი ერთეულებისა და მათი მკავშირეები კოეფიციენტების ცხრილები“. ი.აბაშიძე წლების განმავლობაში უძღვებოდა ზოგად ელექტროტექნიკას და ფიზიკის სწავლების მეთოდებს დისციპლინებს. თავისუფალ დროს, გატაცებით ამუშავებდა ჰიდროტურბინებისა და ქარის ძრავების ოპტიმალურ კონსტრუქციებს, რომლებიც პრაქტიკული რეალიზაცია ჰპოვეს აჭარის მაღალმთიან და წყალუხვ რიგ სოფლებში. ბატონი იოსებ, 1970 წლიდან 2010 წლამდე თავდაუზოგავად ემსახურა მომავალი თაობის აღზრდასა და განათლებას. მან თავისი გამორჩეული პედაგოგიური თვისებებით წარუშლელი კვალი დატოვა უნივერსიტეტის ისტორიაში, რისთვისაც უნივერსიტეტის 80 წლის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა მერაბ ხალვაშმა ბატონ იოსებს 2015 წლის მიწურულს გადასცა ორდენი. ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი უსამძიმრებს ოჯახს ბატონი იოსების გარდაცვალების გამო.

ჩვენებურების ქართული

აქლახან გამოიცა აგრეთვე ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსის, პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მეორე წიგნი „ჩვენებურების ქართული“ (ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2016, ტირაჟი 300 ეგზემპლარი, 662 გვერდი). ამ წიგნის პირველი ნაწილი 1993 წელს გამოიცა და მან საყოველთაო აღიარება და მოწონება დაიმსახურა. „ჩვენებურების ქართული“ მეორე წიგნი ეძღვნება ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების ლინგვისტური ანალიზის საკითხების კვლევას. იგი შედგება ორი კარისა და რვა თავისაგან. წიგნს ერთვის

წინასიტყვაობა, შესავალი, ბიბლიოგრაფია და დასკვნები. პირველ თავში ზოგადად დახასიათებულია კლარჯეთის როგორც მტბევარებისა და ოპიზარების ქვეყნის ისტორიული წარსული. მეორე თავში შესწავლილია იმერხევის ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი, მესამეში—ლივანური ანუ ლივანური მეტყველების თავისებურებანი. მეოთხე, მეხუთე და მეექვსე თავებში მაჭახლური და ტაოს ქართულის თავისებურებანი. მეშვიდე თავში განხილულია მუჰაჯირ ქართველთა ისტორია. მეორე თავში ვრცლადაა მოთხრობილი აჭარელ მუჰაჯირთა მეტყველების თავისებურებებზე. წიგნი გამოცემულია ივანე ჯავ-

ახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეგიდით. მისი რედაქტორები არიან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები აკადემიკოსი ავთანდილ არაბული და პროფესორები თედო უთურგაძე და იზა ჩანტლაძე. რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები ტარიელ ფუტკარაძე, მამია ფალავა, ელზა ფუტკარაძე. წიგნი ეძღვნება აკადემიკოსების ქეთევან ლომთაიძისა და ბესარიონ ჯორბენაძის ნათელ ხსოვნას.




განახლებული აპარატურა

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „ოპტიკურად მკერძი, შემთხვევითი ფაზური ეკრანის ფლოორესცენციის მახასიათებლების რაოდენობრივი და გაზნეული ლაზერული გამოსხივების ინტენსივობის კორელაციური ფუნქციის სტატისტიკური მონიტორინგის სპექტროსკოპიური ანალიზი“

(№FR/152/9-240/14, სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. ნუგზარ ლომიძე) და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „რადიოფიზიკის“ ლაბორატორიისათვის შეძენილი იქნა 40000\$ ღირებულების ნაპერწყმულ ლაზერულ სპექტროსკოპიურ

ლი და ფლოორესცენციული სპექტროსკოპიის აპარატურა. აღსანიშნავია, რომ PORTA-LIBS-2000 სტანდარტული სისტემა და ფლოორესცენციული სისტემა გამოიყენება რიგი კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტისას, როგორც: მყარი და წყლიანი გარემოს მონიტორინგი და ელემენტური ანალიზი, აგრეთვე გამჭვირ-

ვალე გარემოს ოპტიკური მახასიათებლების შესწავლა. სტანდარტული აპარატურის ძირითად ნაწილს წარმოადგენს იმპულსური ლაზერი და პორტატიული სპექტრომეტრები. აპარატურის პორტატიულობა საშუალებას იძლევა გამოიყენებული იქნას არა მხოლოდ სტაციონალურ პირობებში. მაღალი გარჩევის უნარიანობა შენარჩუნებულია ძვირადღირებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებით. პრაქტიკულად გარეშე ფაქტორებისაგან იზოლირებული ნიმუშია — კამერა უზრუნველყოფს სპექტრების მაღალი გარჩევის უნარიანი სპექტრების მიღებას. პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს 83 ქიმიური ელემენტის მონაცემებს, მასასადავამე სტანდარტულად შესაძლებელია 83 ქიმიური ელემენტის იდენტიფიკაცია. ამასთან, რაც მთავარია ელემენტთა მონაცემთა ბაზა შესაძლებელია შეივსოს ან სრულყოფილი იქნას ატომური სპექტრული მონაცემთა ბაზადან: http://physics.nist.gov/cgi-bin/AtData/lines_form ერთი სიტყვით, კომპლექსის გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ სამეცნიერო კუთხით, არამედ მასალების სამრეწველო ანალიზისათვის, გარემოს ეკოლოგიური მონიტორინგისათვის, ნავთობისა და საავტომობილო ზეთების ანალიზისათვის და ა.შ.



მალხაზ ჩოხრაძე
ზაზა შაშიკაძე

დასაწყისი იხ. №3

მამია ფალავას „შავშური ჩანაწერები“



ჩვენ „ჩანაწერებში“ აღწესდული ყველა ექსპედიციის მონაწილენი ვართ (გარდა 1995 წლის ტაოს ექსპედიციისა), ასე თუ ისე ვიცნობთ „ათორმეტ საგანეთა“ მხარეს, ნაბიჯ-ნაბიჯ დავლილი გვაქვს ფორთას და ნუკას შემოგარენი, იქ არსებული „ფიცხელი კლდეები“, ამიტომ სახსრებით ბუნებრივად და მისაღებად მიგვაჩნია, რომ მამია ფალავა მოუბრუნდა თითქოს უკვე მივიწყებულ პრობლემას, შეიძლება ითქვას, რომ განაახლა ნიკო მარის — ხანძხელის ნაკვალევს მამიებელი მეცნიერის გზა და საზოგადოების ყურადღება სახსრებით დასაბუთებულად ისევ მიაპყრო, მდინარე კარჩხალას ხეობაში მდებარე ნუკას საყდრისკენ.

საკითხის კვლევის ამჟამინდელი მდგომარეობა ვერ კიდევ ვერ სცემს პასუხს ყველა კითხვას. ვინ იცის, იქნებ ოდესმე მისაწვდომი გახდეს ზემოხსენებული საგანების არქეოლოგიური კვლევა, ამასთან, შესაძლოა თურქეთის საცავებში მიკვლეულ იქნას პირდაპირი მტკიცებულების შემცველი დოკუმენტები.

ასეა თუ ისე, როგორც ერთი, ისევე მეორე საგანე განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. გავისხენოთ, რომ ქვემო ფორთის ეკლესიას ჩვენს დროში, სულ ახლახან (2007 წლის დეკემბერში) ჩამოეწერა გუმბათი. დარჩენილი ნაწილებიც საავალალო დღეშია და ეს უბედურება მხოლოდ ზემოხსენებულ ძეგლებს როდი სჭირთ. სამეცნიერო კვლევა-ძიება დიხაჯ საშური საქმეა, მაგრამ რეალობის შეცვლა ამას ნაკლებად შეუძლია. თუმცა, ვინ იცის, იქნებ სწორედ მეცნიერთა და ენოზუზისტთა ძალისხმევამ შეძლოს ამ ძეგლებზე ყურადღების კონცენტრირება და გადარჩენა იმისა, რისი გადარჩენა ვერ კიდევ შესაძლებელია.

სამეცნიერო ხაზი „შავშური ჩანაწერების“ მხოლოდ ერთი არსებითი ნაწილია. ბუნებრივია, გაცილებით მეტი ადგილი აღწერასა და თხრობას ეთმობა. მამია ფალავა შესანიშნავი მთხრობელია და ამ თხრობის რამდენიმე ასპექტს მინდა შევეხოთ. ავტორი ახერხებს უცხო ქვეყანაში განცდილი, ნაწილი თუ გავიგონილი უამრავი ფაქტისაგან აარჩიოს ღირებული და ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, ყოფითი ფაქტით შთაბეჭდილება მოახდინოს მკითხველზე. ამის დასტურად ერთ რიგით ეპიზოდს მოვიყვან, რომელიც არა იმდენად საკუთრივ შავშეთს, არამედ ექსპედიციის შავშეთა კეთილსინდისიერებას ეხება:

„საუზმის შემდეგ ვალუტის გასაცვლელად წავიდით. 400 დოლარი გადავცვალეთ თურქულ ლირაზე. 530 ლირის ნაცვლად კარგა ხნის ანგარიშის შემდეგ 750 ლირა მოგვითვალა გადამცვლელმა. ზედმეტი უკან დავუბრუნეთ. გაუკვირდა „ვალუტჩისკი“. გახარებულმა დაიბრუნა თავისი კუთვნილი. უკვირდა თურქს, მაგრამ არ გვიკვირდა ჩვენ... ზაზამ დაიჭირა თურქის, შეიძლება გათურქებული შავშისაც, დაბნეულობა და ნაიტრაბახა: ასე ვიცითო ქართველებმა...“

კარგად მოვიქეცი. ღირდა 220 ლარად ჩვენი გალალეობა“.

სიტყვამ მოიტანა და ექსპედიციის წევრებთან, ანუ მეგობრებთან, კოლეგებთან დამოკიდებულება არა მხოლოდ ამ ეპიზოდით მქალავდება. შიგადაშიგ ავტორი ვრცელი მონოლოგებით თუ, უფრო მეტად, მოკლე ფრაზებით, ხშირად თბილი იუმორითაც, ეხება მათს პროფესიულ თუ არაპროფესიულ საქმიანობას, თვი-

სებებს, უშურველად გასცემს სიტბოს. დასტურად მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტს მოვიხმობ ნიგნინდან: „მერმ დღეს კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ მტკიცედ დგას. ხევეწილიდან მომავლები მდინარის პირას გაეჩერდით სასადილოდ. ციკაბო ბილიკი იყო ჩასავლელი. მერმ ვაჟკაცურად დაძლია დაბრკოლება გზიდან მდინარემდე და მდინარიდან გზამდე“ (ვინც არ იცის, იმათ გასაგონად ვიტყვი, რომ მერი ცინცაძეზე — ექსპედიციის ოთხმოცწელსმიკაუნებულ წევრზეა საუბარი).

„ყველამ მოვსინჯეთ თირიფანი. არცთუ იოლი საქმეა. თამაზი და ნუგზარი კარგად ახერხებენ. რამაზმაც იცის თიბვა კარგად, მაგრამ ახლოსაც არ გაკარებია ცელს, ბავშვობიდან მეჯავრებოა“...

„თინამ აიყოლია ბებია და შეიღობილი თანრიგელები, რომელთაც ქართული სიმღერა წამოიწყეს თურქულ კილოზე“...

„ხმამალა ფიქრობენ ბიჭები, გაამაყებული დადიან ტარის წმიდა ეზობი და უხარიათ. რა უხარიათ, არც თავად იციან, უბრალოდ, უხარიათ, რომ ამ არიან და განიცდიან ამ მშვენიერებას“...

„შოთა მამულაძე შემთხვევას არ უშვებს ხელიდან და აჭარბი გადამავალ გზებს კითხულობს“...

„ზაზა სადღეგრძელოებს ამბობს, მაგრამ არ სვამს. ოსმანი აძალებს, დალიე, კარგიაო.“

— რა დღე დამიდგა, მე ღვინოზე უარს ვამბობ და „ზაზაგრელი ოსმანამ“ მძალდობსო, — ამოიხრა ზაზამ“...

„მალხაზი დარდობს, დარდობს ბებერ პარხალს და აქვს კიდევ სადარდებელი“...

ეს საჩვენო ფრაგმენტები იმიტომ მოვიტოვეთ ბოლოს, რომ ჩვენცა გავქვს ერთი ჩანაწერი მამიასათვის. იმ ბრილელ ჯემალს ეხება — „რემეზანში ვერ ვმარხულობ, გარეული ღორის ხორცსაც ვჭამ შიგადაშიგ, ღვინოსაც ვსვამ ხოლმე და ჯენნეთში მოხვედრის შანსი თუ დამრჩაო“ — ამის დაზუსტებას რომ ცდილობდა ყოვლისმცოდნე პროფესორებთან. ჩვენი ეპიზოდი „შავშური ჩანაწერებში“ ვერ მოხვდა. როგორც დავაზუსტეთ, არ ჩაუნიშნავს და არც ახსოვდა.

ბრილმი ყოფნისას მამიასა და ჯემალს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— შენ რას საქმობ?
— უნივერსიტეტის პროფესორი ვარ.

— რას კითხულობ?
— გურჯი იაზის (ქართულ ენას).
— წვიტ ბაღნებს ასწავლი?
— არა, დიდებს, სტუდენტებს.
— რას ასწავლი? — ხელახლა ჩაპკითხა ჯემალმა.
— ქართულ ენას.

აქ ჯემალი ჩაფიქრდა და კარგა ხანს იფიქრა. მერე (როცა გვეგონა,

რომ ეს თემა ამონურული იყო), ისევ ჰკითხა:

— დიდვანებს ვასწავლიო, არ თქვი?

მამია აქამდე თან მერი ცინცაძეს ესაუბრებოდა და ჯემალის კითხვებს მექანიკურად პასუხობდა. ახლად შეატყო განსაკუთრებული ინტერესი და თავადაც გაფაციცდა:

— ჰო, დიდვანებს ვასწავლი.
— ლაპარაკს ასწავლი?
— არა, ენას.
— დიდვანებმა გურჯი ენა არ იციან?
— იციან.

— აბა შენ რაღას ასწავლი?

ეს იმ იშვიათ შემთხვევათაგანი იყო, მამია ფალავას პასუხის გაცემა რომ გაუჭირდა. — როგორ გინდა აუხსნა უბირ (კეთილ, თბილ, მაღლიან კაცს, მაგრამ უბირს), რას ნიშნავს ენის მეცნიერული სწავლება დიდებისთვის, მათთვის, ვინც ამ ენაზე ლაპარაკი იმთავითვე იცის...

მოკლედ, ბრილელმა ჯემალ ჩელიქმა „სოკრატული მეთოდით“ — სულ რამდენიმე კითხვის დასმით წყალში ჩაგვიყარა ფილოლოგებს ამდენი ხნის ნაღვან-ნაამგარი.

ეს ამბავი მხოლოდ სალალოზოდ როდი გავისხენეთ. თურქეთის საქართველოში ახალი თაობა ვეღარ ლაპარაკობს მშობლიურ ენაზე. იმრიტება, ქრება წინაპრებთან დამაკავშირებელი კიდევ ერთი ძაფი, რომელიც ყველაზე გამძლე გამოდგა. „თუ იციან რაღას ასწავლითო“, — უკვირს ჯემალს, მაგრამ შავშეთში რომ დაივინყეს, — აღარ უკვირს. მისთვის ეს ბუნებრივი პროცესია და აღარც ტკივა. არადა რამოდენა სატკივარია, მოურჩენელი, გარდაუვალი, შეუჩერებელი... „ჩანაწერების“ ავტორი ამ თემას არაერთხელ ეხება, განიცდის, ჩივის, განსჯის:

„ბევრ სოფელში გაიგონებ, თურქულად მოლაპარაკე არ იყო ჩვენთან არცთუ დიდი ხნის წინათ. გვიან გადაბრუნდნენ გურჯები. იძულებული გახდნენ, ესწავლათ თურქული, — სახელმწიფო ენა. სხვაგვარად ვერც სამუშაოდ წავიდოდნენ დიდ ქალაქებში და ვერც შვილებს შეიყვანდნენ სკოლებში. პირველყოფილი წესით ცხოვრება აღარ შეიძლებოდა...“

ყველაფერი ეს არ იყო იოლი. „თურქულზე გადაბრუნება“ იყო ხანგრძლივი და დამბრუნველი პროცესი, რომელიც დღესაც გრძელდება“...

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ნიგნში ფენებზე და ჩალაგებულ რომანტიკულ შრეებზე. ასეთი ნიგნები ხომ რომანტიკის გარეშე არ არსებობს. ეს რომანტიკა იგრძნობა ცალკეულ ფრაზებშიც კი — რომლებიც ძალუბრად გაგრძნობინებენ მოგზაურობის ხიბლსაც და ჩვენებურთა ცხოვრების რეალობასაც. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ასეთი ფრაგმენტები:

„მოდო და ნუ დაიჯერებთ. დედქს ნათქვამი აქ გადასინჯვას არ ექვემდებარება! დედქ იტყოდა, ესე იგი ასე იყო“...

„ისამეს კიდევ გულის გაკოჭვამდე“.

„აქ თავაზიანად ექცევიან საქონელსაც. ჩომას კი არ დაუყრიან თივას ან მოლს, „მიართუმენ“.

„აქაურ ხვატში აირანი მისწრება პირდაპირ, სიცხით შეწუხებული კაცის გამაცოცხლებელი საშუალება“...

ფრაზები ფრაზებდა და რომანტიკის მთავარი წყარო მინც ნიგნში შეტანილი ზოგიერთი ამბავია. მაგალითად, შეხვედრა მემედ ილმანთან, ზიოსელ მომღერალთან. მემედი შავშეთში პოპულარული კაცია. უკრავს აკორდიონზე, მღერის ქართულ და თურქულ სიმღერებს, მას ხშირად ინვევენ მარიობაზე თუ სხვა თავყრილობაზე — სასიმღეროდ. შემდგომში არაერთხელ შეხვედრივართ ილმანს, მაგრამ ზიოსში მამია ფალავა შემთხვევით მოხდა მის ოჯახში. როცა მემედმა გაიგო, რომ სტუმარი ორთაბათუმიდან იყო, მოულოდნელად განაცხადა:

„— ორთაბათუმელებო, თქვენგან დიდმა დედებმა მუზიკა ისესხეს და ახლანა დიგიბრუნოთ“. დაუბრუნა კიდევ, გზნებით დაუკრა ორთაბათუმური ხორუმი. „შავშურ ჩანაწერებში“ თვალნათლივ ჩანს „ვალის დაბრუნებით“ გაამაყებული ავტორის ემოცია:

„...დაუკრა ჩვენებური საცეკვაო, ხორუმის ერთ-ერთი ვარიანტი, ორთაბათუმური ხორუმი, რომელიც ორთაბათუმში და, როგორც ჩანს, მთელ საქართველოშიც, დაივინყეს, მაგრამ შეინახეს იგი ზიოსელებმა, იმერხველებმა ზოგადად. ჩვენმა მოძმეებმა ჭოროხის ხეობაში და ახლა, დიდი ხნის შემდეგ ორთაბათუმელებს, და მთელ საქართველოსაც, გვიბრუნებენ ამ ვალს და მე მატანებენ.“

და მეც მივიღე ეს ვალი, გახარებულმა და გაამაყებულმა“...

დაბრუნებული ხორუმის რომანტიკა ხომ შთამბეჭდავია, მაგრამ ამ თემაზე საუბარს ისე ვერ დავასრულებთ, ჩანაწერებში ასახულ ზღაპრულ ისტორიებს და ავტორის მათთან დამოკიდებულებებს რომ არ შევეხოთ.

ასეთ ისტორიებს ჩვენში ნაკლებად ყვებიან. მითუმეტეს, დიდი ხანია გაფერმკრთალებულია ავსულების და ქაჯების გულუბრყვილო რომანტიკა. შავშეთში კი, კარგად თუ მოძებნი, ვერ კიდევ გადაეყრები ტყის კაცებს და ჯაზი-ნენეს, შეიტნებს და ჯინებს... „ჩანაწერების“ ავტორის მოჰყავს იბრაიმ ჩახმახის (გორაძის) მონათხრობი:

„ერთი კაცი ღამე ნისქელიში დარჩენილა. ღამე ჯინები მოვიდნენ, ფერხულობენ. ჯინები ამბობენ ქი, „ოთხშაბათი“, „ოთხშაბათი“... ასე სამობენ. ისაც, კაციც სამობს და

ოთხშაფათს ამბოფს. საბახლამაზიხან ჯინები დაფანტვილან. დაფანტვიხან უთქვამან ქი:

— ჩვენ ვისამეთ, ამანაც ისამა ქი, ჩვენ ოთხშაფათი ვთქვით, ამანაც თქვა ქი... რა ეილუგი ვუყოთო?

— კაი კაცია, ამ კუზი მოვხსნათ და გავუსწოროთო — უთქვიან ქი.

გაასწორეს და დეიფანტენ“...

ეს ისტორია კიდევ გრძელდება და მისი კითხვისას, უფრო კი მოსმენისას რაღაც გაუცნობიერებელი ნაღველი ივსება კაცი, მინცდამანც სახელს რომ დავარქმევ, ისეთი ნაღველით. ალბათ ძველებურ, უკვე დასაკარგად განწირულ გულუბრყვილო რომანტიკასთან უნებლიე შეხების გამო...

წარდგინება ნიგნისა სრულყოფილი ვერ იქნება, თუ ორიოდ სიტყვით მანც არ შევეხეთ „შავშური ჩანაწერების“ იუმორს. ცხადია, ეს არ არის ძირითადი ხაზი ნაშრომისა. მიუხედავად ამისა, შიგადაშიგ ზომიერად არის გაბნეული მახვილგონიერული იუმორი — ზოგჯერ პირდაპირი, ღია, ზოგჯერ შემპარავი, დახვეწილად, მინიშნებით თქმული. „ჩანაწერებისეული“ იუმორი ორჯგუფად შეიძლება დავყოთ: ერთია უშუალოდ ავტორისეული იუმორი, კონკრეტული ფაქტის თუ ამბის შთაბეჭდილებით გამოწვეული. მაგალითად ისეთი, როგორიცაა დიალოგი ერთ იმერხველ მოხუცთან:

„— ბათოში ჰითკენა ახლა?

— ბათოში გურჯისტანია, საქართველო, მისი ნაწილი.“

— ალლა რაზი ოლსუნ, კარგია! გორბაშოვ მადლობა უთხარით, ერთათ რომ ხართ (ზაქიეთლებს გორბაშოვი დემოკრატიისა და თავისუფლების თავაკაცად მიაჩნიათ. დიდი ავტორიტეტი აქვს გორბაშოვს ზაქიეთში.)“

„ბათოში ჰითკენას“ რომ თავი დაეანებოთ, ამ დიალოგის ჟამს საბჭოთა კავშირი კარგა ხნის დაშლილი გახლდათ...

ხუმრობათა მეორე ჯგუფი მახვილი თვალით და ყურით აკრეფილი არაკებია შავშელთა. აქაც მხოლოდ ერთ არაკს მოვიტან:

ერთი იმერხველი თურმე დათვზე სასულა სანადიროდ. „შეხდა დათვი. დუუმიზნა, ესროლა და ააცილა.“

გაპერსებული დათვი წამოვიდა კაცისკენ. დიდვიფანა. ცაცმა თოფი მიიღო და დათვს დაემუქრა, არ მომეკარო, თვარა თავს მოგვავი... აბა კაიო, ყეზა არ მოგივიდესო, უთქვია დათვს და წესულა“...

კარგი ნიგნი იოლად განაწყობს კაცს სასაუბროდ. „შავშური ჩანაწერებზე“ კიდევ ბევრის თქმა შეიძლება. ჩვენ მკითხველთაგანი ვართ, მაგრამ ამავე დროს მოწმე და თვითმხილველი აქ აღწერილი ამბებიცა. კარგად ვიცით, რომ ნიგნი ორი ათეული წლის განმავლობაში, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე განუვლი დიდი შრომისა და ძალისხმევის ნაყოფია. აკადემიური საქმიანობა წარმოუდგენელი ასეთი გარჯის გარეშე, ეს ყველაფერი კი საუნივერსიტეტო ცხოვრების ძვირფასი ნაწილია უპირველესად, ამიტომ გასაგებია ნიგნის ავტორის მადლიერება მშობლიური უნივერსიტეტის მიმართ: „მადლობა უნდა ვუთხრო ჩემს უნივერსიტეტს ყველაფრისთვის: რასაც ვაკეთებდით და გავაკეთეთ, მისი სახელითა და სახელისთვის ვაკეთებდით“...

ვფიქრობთ, „შავშური ჩანაწერების“ ავტორი ასევე იმსახურებს მადლობას. ამჯერად, როგორც კარგი ნიგნის ავტორი და ჩვენც ჩვენ ნილ მადლობას ვუბნებთ მხოლოდ...



საინტერესო წიგნი

მკითხველმა ახლახან მიიღო ავტორთა ჯგუფის ვრცელი (770 გვერდი) მონოგრაფია „სარფი“. იგი პირველი ცდაა თითქმის საუკუნის წინ გაყოფილი შავიზღვისპირეთის ლაზური სოფლის ერთიანად, კომპლექსურად შესწავლისა. კრებული ორნაწილიანია: მონოგრაფიის პირველი ნაწილი ეთმობა გამოკვლევებს, ხოლო მეორე – ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ მასალებს ქართული თარგმანითურთ...

ცნობილია, რომ სარფის ნაწილი საქართველოს შემადგენლობაშია, ნაწილი – თურქეთის რესპუბლიკისაში. ერთი კულტურის, ცნობიერების ხალხის ცხოვრება სრულიად განსხვავებული გზით წარიმართა. კულტურათა დიალოგის ეს უნიკალური შემთხვევა იძლევა საშუალებას, სარფის ორივე ნაწილი ერთიანად და ორივე მიმართულებით შევისწავლოთ. ქართული სარფის შესახებ უამრავი გამოკვლევა არსებობს, თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილის შესახებ კი საერთოდ არ არსებობს მეცნიერული ნაშრომი.

კულტუროლოგიური თვალსაზრისით სარფის კვლევა მეტად აქტუალურია, რადგან ეთნოლოგებს ლაზები აინტერესებთ, როგორც ჭრელ ეთნიკური გარემოცვაში მყოფი რელიქტური კულტურის მატარებელი ეთნოკულტურული ჯგუფი, რომელთა ცნობიერებას და ენას საფრთხე ემუქრება.

ისტორიულ-გეოგრაფიული თუ პოლიტიკური ხედვის გამო სარფი ლოკალურ-ეთნოგრაფიული თავისებურებებითაც ხასიათდება.

ნაშრომი შესრულდა საგრანტო პროექტის ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავდა ერთი მხრივ საზღვრით გაყოფილი სოფლის კომპლექსურ (ისტორია, ფოლკლორი, მეტყველება და ყოფა) შესწავლას, მეორე მხრივ, ისტორიული ლაზეთის მომავალი კვლევისთვის საფუძვლის შექმნას. პროექ-

ტმა სარფმა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული გრანტების 2013 წლის კონკურსში გაიმარჯვა. მისი ხელმძღვანელია პროფ. მალხაზ ჩოხარაძე; მენეჯერი — ასოც. პროფ. ლილე თანდილაძე, მონაწილე პირები არიან: პროფ. თინა შიოშვილი, მამია ფაღავე, ნუგზარ მგელაძე, მ/კ. ომარ მემიშიძე, ჯემალ ვარშალაძე, ასოც. პროფ. ზაზა შამიკაძე, ჯემალ კარალიძე, მათა ბარამიძე, აკად. დოქტ. მანანა თავდგირიძე, ცილა ნარაკიძე.

როგორც ცალკეული ნაწილის, ისე მთლიანი სარფის კომპლექსური კვლევა და მისი მეცნიერული პორტრეტის შექმნა ისტორიული საზღვრის მომავალ კვლევასაც დაუდებს საფუძველს.

უძველესი ქართველი ტომების, ლაზების, ისტორიისა და კულტურის მიმართ მიმართ მუდამ იყო ცხოველი ინტერესი. ძველი ლაზური დასახლებები მოიხსენიება ლათინურ და ბიზანტიურ წყაროებშიც. ეს გამოწვეული იყო სტრატეგიული სატრანზიტო და სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობით. საინტერესოა სოფლის დასახლებათა ფორმა: ტერასული, ტერასულ-ამფითეატრული და სერულ — ტერასული, — ასე უწოდებენ მათ მკვლევრები. ლაზური მეურნეობა ხასიათდება სოციალური და სამეურნეო პირობების რიგი თავისებურებით, დასახლების მორფოლოგია თუ განსახლება განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს.

ნაშრომში ამ და სხვა საკითხებთან ერთად განხილულია გვართა განახლების საკითხები, გადმოცემულია საგვარეულო ნარატივებიც. აქვე განხილულია სარფის დასახლების სოციალური პირობებიც: ის თემური დასახლება ყოფილა, უხუცესთა მმართველობით ორგანოს კი ღარღარაში რქმევია (შდრ. ქართული ღარღარა). განსაკუთრებით საინტერესოა ლაზური ქორწილი და საქორწილო ტრადიციები.

ლაზური ყოფა აკვანში დანიშნის ჩვეულებასაც იცნობს. შესაძლებელი იყო სამოყვროდ გამზადებული ოჯახები არ დამოყვრებულიყვნენ, მაგრამ ქალი თუ სხვას გაჰყვებოდა, მამისეულ სახლში ვეღარ მივიდოდა, ამით სისხლისღვრას აიცილებდნენ თავიდან.

კრებულში გამოკვლეულია, რომ სხვა ეროვნების ხალხთან ლაზები კატეგორიულად ერიდებოდნენ ქორწინებას და მათ ბოლო წლებამდე შეინარჩუნეს წმინდა კოლხური სისხლი, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ცხოვრების ზნეობრივ წესს, ჯიშ-ჯილაგის ვარგისიანობას, ქონებრივ მდგომარეობას თუ ეთნიკურ განსხვავებულობას ქორწინებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მეტად საინტერესოა, რომ სარფს ლაზე-

ბი მეტად და მოლენად ყოფენ, რაც გაღმა-გამოღმას ნიშნავს, ოღონდ მნიშვნელობა აქვს ათვლის წერტილს.

ოდა-სახლის ერთ-ერთი უძველესი ფორმა — კოლხური ჯარგვალი, შემდგომში ზედმედგებული ერთსათავსოიანი ჯარგვალი მეტად საინტერესოა. მნიშვნელოვანია ეროვნული სამოსის სახეობა, ლაზური ჩოხაც. სარფის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება ლაზი მანდილოსნის სამოსიც.

აღსანიშნავია, რომ სარფში, ისლამურ გარემოცვაშიც კარგად შემოგვენახა ქრისტიანული ელემენტები, ერთი ასეთა ხაზი სუ — ჯვრის ნიშანი, ტრადიცია, რომელიც 19 იანვარს სრულდებოდა, ხახვის ფურცლებით კვერცხის შეღებვაც ამავე რიგისაა.

ნაშრომში ვეცნობით საზღვაო ფაუნას, თევზის სახეობებს, თევზჭერის საშუალებებს, მეთევზეობის თანამედროვე ტექნოლოგიებს. უაღრესად საინტერესოა ლაზური ფოლკლორი. ნაშრომში გადმოცემულია ბევრი საინტერესო ამბავი, რომლებიც აქაურთა ცნობიერების ტრანსფორმაციას ეხება. ერთი ასეთია „ლენინისა და ათა-თურქის „კლასელ-მეგობრობა“.

საინტერესოა და გადმოცემული ისიც, თუ როგორ დაატყდა თავს სოფლებს საზღვრის მოუღონდელი ჩაკეტვა, მას შემდეგ თითის გაშვრაც აკრძალული იყო, არა თუ სურათის გადაღება. სამაგიეროდ, სარფელებმა „დამიფრული კომუნიკაცია“ ისწავლეს საკომუნიკაციოდ. აკრძალული ქართული, გალათინურებული ანბანი, პასპორტში ეროვნების გრაფაში დაწერილი სიტყვა „აჭარელი“ და ბევრი სხვა მწვევე საკითხია განხილული ამ ნიგში.

ლაზური ყოფის ბევრ სხვა საჭირობო-ტო საკითხთან ერთად ვეცნობით, რომ აჭარული ხაჭაპურის რეცეპტი მეთევზე ალი კაბარიას გამოუგონია და მისთვის ნავის ფორმა მიუცია.

თურქეთის და ქართული სარფის მენტალური და ყოფითი დეტალების მსგავსება-განსხვავება კარგად ჩანს სქემებიდან. მათ ჯერ კიდევ აქვთ საერთო, მსგავსება, ესენია: რელიგია, ენა, სუფრა. თურქულ სარფში დასაშვებია ახლობელთა ქორწინებაც, შვილები მოხუც მშობლებთან არ ცხოვრობენ, და რაც დასანანი, ისინი თავს ქართველებად არ მიიჩნევენ.

ცალკე (IV) თავი ეძღვნება სარფის კვლევას მხატვრულ ლიტერატურაში. კერძოდ, განხილულია, როგორაა ასახული სარფი, როგორც სოფელი და როგორც მეტაფორა მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. რაც საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარმა ორად გაკვეთა სოფელი და ხელოვნურად დადებული საზღვრების ერთ-ერთ სიმბოლოდ აქცია, მას შემდეგ სარფის თემა ქართული მწერლობისთვის იმდენად პოპულარული აღმოჩნდა. თურქული მხატვრული ლიტერატურა, ქართულისგან განსხვავებით, ფართოდ არ შეხებია სარფის თემას. მიუხედავად ამისა, მეტად მნიშვნელოვანია თურქეთის სარფელი შერაფეთ-

თინ ოზშაჰინის პოეზია. მის შემოქმედებაში განხილულია სარფული მოტივები.

საინტერესოა ავტორთა დაკვირვება, რომ თუ საბჭოთა კავშირში მცხოვრები ქართველი მწერლები წერდნენ დაკარგული ტერიტორიების შესახებ, ქმნიდნენ პოლიტიკური კონიუნქტურისგან თავისუფალ ნაწარმოებებს, თურქული სალიტერატურო ცენზურა ამის უფლებას არ იძლეოდა.

ხალხის მეხსიერებამ სარფული ყოფის მრავალი დეტალი შემოინახა: ძველი, გაყოფილი მკრთალად, მოგვიანო პერიოდისა — უფრო ცხოვლად და ხატოვანი ინტერპრეტაციებით. ნაშრომში განხილულია სასაზღვრო მოტივი სარფისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის მეხსიერებაში. კერძოდ, ისეთი თემები, როგორებიცაა: სასაზღვრო მოტივის წინარე ისტორია, თავისუფალი მიწისთვის საზღვარი, ჩაკეტილი საზღვარი ჯაშუშური ისტორიები და სხვა. კოლექტიურ მეხსიერებაში აღბეჭდილია კონცეპტუალური სურათი.

ნაშრომის VI თავში მოცემულია ლაზურის ხოფურ-ჩხალური კილოკავისა და სარფის მეტყველების ურთიერთმიმართება. აქ მკითხველი დეტალურად ეცნობა სარფის მეტყველების ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებს, სიტყვანარმოების სპეციფიკას, თურქული ლექსიკის კვალს აქაურთა მეტყველებაში, სარფის მიკროტოპონიმისა. აქვე განხილულია და მეცნიერულად დასაბუთებულია ბოლო პერიოდის მეტად აქტუალური საკითხიც: ლაზური დამოუკიდებელი, ქართველური ენაა და თუ ქართული ენის დასაბუთება.


კრებულის მეორე ნაწილი ეთმობა ლაზური ფოლკლორის ნიმუშებსა და სამეურნეო-ყოფით ტექსტებს. მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს ისეთ ტექსტებს, რომლებშიც ჩანს ეთნომენტალობა. ლაზური ტექსტის გვერდიგვერდ, პარალელურად მოცემულია ქართული თარგმანი. წინადადებები დანომრილია. მასალის ამგვარი დალაგება იძლევა დედნის კონსტრუქციის წვდომის საშუალებას, წარმოაჩინს ლაზურ და ქართულ ტექსტებს შორის სინტაქსურ და სტილიტიკურ სხვაობას. თარგმანში პირდაპირ გადმოტანილ სიტყვას ახლავს ფრჩხილებში ჩასმული განმარტებაც.

ნაშრომი თავიანთ კვლევებში შეიძლება გამოიყენონ ენათმეცნიერებმა, ლიტერატურათმცოდნეებმა, ისტორიკოსებმა, ეთნოლოგებმა, ფოლკლორისტებმა... ამრიგად, სამეცნიერო მიმოქცევაში ამ მონოგრაფიის შემოსვლა მნიშვნელოვანი შენაძენია.

მონოგრაფია „სარფი“ მნიშვნელოვან ადგილს დაიჭირს ქართველი ხალხის სულიერ მემკვიდრეობაში. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ჭრელ ეთნიკური გარემოცვაში მოქცეულ ლაზთა ეთნოკულტურული ცნობიერებას და ენას საფრთხე აღარ დაემუქრება.

გუსურვებთ შემდგომ წარმატებებს ამ ქვეყნის დედა ქალაქში დასრულებულ მკვლევართა ჯგუფს.

ასოცირებული პროფესორი ნანა ცაცხლაძე



ინტელექტუალური თამაში სახელწოდებით „NATO-OTAN“

6 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ნატოს კვირულის ფარგლებში ნატოს საინფორმაციო ცენტრის აჭარის ბიუროს ორგანიზებითა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის მხარდაჭერით გაიმართა „რა? სად? როდის?“ ტიპის ინტელექტუალური თამაში სახელწოდებით „NATO-OTAN“.

პროექტში ჩაერთო ქ. ბათუმის 21 საჯარო და კერძო სკოლის 100-ზე მეტი მოსწავლე.

ინტელექტუალური თამაშის — „NATO-OTAN“ შედეგებს კომ-

პეტენტური ყოფი აფასებდა. პირველი ადგილი კერძო სკოლა „ევრო-2000-ის“ გუნდმა დაიკავა, მეორე და მესამე ადგილები კერძო სკოლა „ნიკეა“ და მე-8 საჯარო სკოლის გუნდებმა გადაინაწილეს.

ლონისძიების მხარდაჭერები იყვნენ: ბათუმის ბოტანიკური ბაღი, გამომცემლობა „ნიგნები ბათუმში“ „საქართველოს პროფესიული განვითარების ცენტრი GPDC“, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი,

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი, სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახური და სტუდენტური თვითმმართველობა.


გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ მხარდამჭერების მიერ დაწესებული ფასიანი საჩუქრებით და სერტიფიკატებით.

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი ყოველწლიურად ატარებს მსგავსი ტიპის ინტელექტუალურ თამაშებს.

თამაშა თურმანიძე,
ინგლისური ფილოლოგიის მეორე კურსის სტუდენტი



რედაქტორი
იოსებ სანიძე
სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე



სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცაცხლაძე, ინგა შამილიძე, ნათია ნიკლაშვილი, მურმან ცაცხლაძე, მურმან გორგოშაძე, დავით ბარათაშვილი, გურამ ჩაბანავა, შოთა მაგულაძე, გუგული ღუმბაძე, ნუგზარ ლომიძე

გაზეთი დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა კოლორი“ ტელ.: 271 76 45
მის.: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი 20